

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

1. პროგრამის მიზანია - საბაზისო სამედიცინო განათლების მქონე პირის გადაუდებელი მედიცინის კვალიფიციურ სპეციალისტად დახმალოვნება და მომავალი დამოუკიდებელი საექიმო და სამეცნიერო საქმიანობისათვის სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

2. პროგრამის ამოცანაა მისი დასრულების შემდეგ რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი სრულად ფლობდეს გადაუდებელი მედიცინის სარეზიდენტო პროგრამით გათვალისწინებულ თეორიულ მასალასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, შეეძლოს მუდმივი დროის დეფიციტის პირობებში სწრაფი კლინიკური გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი პროტოკოლებით პაციენტის მართვა.

3. რეზიდენტურის პროგრამა მოიცავს იმ მთავარ მიმართულებებს, რომლთა ცოდნაც აუცილებელია პრაქტიკოსი ექიმი-სპეციალისტისათვის: ადმინისტრირება, ანესტეზია, კარდიოლოგია, კრიტიკული მკურნალობა, დერმატოლოგია, პრე-პოსპიტალური დახმარება, გარემო პირობებით გამოწვეული დაზიანებები, ეთიკა, შინაგანი სნეულებები, ზოგადი ქირურგია, გერიატრია, ნევროლოგია, მენტალური და მედიკოლოგია, ოფთალმოლოგია, ორთოპედია, ოტოლარინგოლოგია, პედიატრია, ფსიქიატრია, სამეცნიერო კვლევა, პრე-პოსპიტალური დახმარება, რესუსკიტაცია, ტოქსიკოლოგია, ტრამვა, უროლოგია, ჭრილობის მენეჯმენტი.

4. რეზიდენტურის პროგრამა გადაუდებელ მედიცინაში მთლიანად ეფუძნება აშშ-ის შესაბამისი რეზიდენტურის პროგრამის კურიკულუმს (ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ).

### მუხლი 2. სპეციალობის აღწერილობა

1. გადაუდებელი მედიცინა წარმოადგენს სამედიცინო სპეციალობას, რომლის მიზანია ურგენტული/მწვავე დაავადებების, მდგომარეობების და/ან დაზიანებების მართვა: შეფასება, დიაგნოსტირება, მკურნალობა და პაციენტის შემდგომი დისპოზიციის საკითხის გადაწყვეტა. გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტში ხდება იმ პაციენტების მართვა, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ თერაპიულ, ქირურგიულ ან ფსიქიატრიულ მკურნალობას. მედიცინის ეს სპეციალობა წარმოადგენს მედიცინის უნიკალურ სფეროს. ის მოიცავს არადიფერენცირებული ფიზიკური და ქცევითი დარღვევების ფართო სპექტრის მქონე ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის პაციენტების მართვას, (პედიატრიული კონტიგენტის მიღება/სტაბილიზაცია, გადაგზავნა შესაბამის დაწესებულებაში). რომელთაც აღენიშნებათ მწვავე ჩივილები და ესაჭიროებათ სასწრაფო და/ან გადაუდებელი დახმარება. გადაუდებელი მედიცინა წარმოადგენს მედიცინის იმ სფეროს, სადაც უკელაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პაციენტისათვის შესაბამისი დახმარების დროულ აღმოჩენას. გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი მუდმივად მოქმედებს დროის დეფიციტის პირობებში.

2. გადაუდებელი მედიცინის განყოფილებებში არ ხდება პაციენტის ხანგრძლივი მკურნალობა. დიფდიაგნოსტიკური და მდგომარეობის სტაბილიზაციის შემდეგ ხდება პაციენტის დისპოზიციის საკითხის გადაწვეტა: პოსპიტალიზაცია თუ ბინაზე გაწერა.

3. გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი არის ექიმი, რომელიც მუშაობს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში/დეპარტამენტში/ დაწესებულებებაში. მისი მოვალეობაა კვალიფიციური დახმარება აღმოუჩინოს მასში მოხვედრილ ნებისმიერი მწვავე ჩივილისა და ასაკის პაციენტს. მისი მოვალეობა მოიცავს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში მოხვედრილი პაციენტის მდგომარეობის შეფასებას, ანამნეზის შეკრებას, პაციენტის მართვის კონკრეტული სქემის შემუშავებას (საჭირო კვლევების ჩატარება, მწვავე ჩივილების მოხსნა/მდგომარეობის სტაბილიზაცია, პროტოკოლებით განსაზღვრული მანიპულაციების ჩატარება, სპეციალისტის კონსულტაციის აუცილებლობის განსაზღვრა), სამოქმედო პროტოკოლებზე დაყრდნობით პაციენტის შემდგომი დისპოზიციის გადაწყვეტას, ხოლო ბინაზე გაწერისას შესაბამისი რეკომენდაცია/მკურნალობის სქემის განსაზღვრას, საჭიროებისას ექიმ-სპეციალისტთან შემდგომი ვიზიტის დაზუსტებას.

4. გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტი გააჩნია განყოფილებაში/დეპარტამენტში/დაწესებულებებაში მოხვედრილი პაციენტების მართვისთვის აუცილებელი როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევები (აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამონათვალი მოყვანილია შემდგომ). იგი მართავს დეპარტამენტში მოხვედრილ სომატურ, ქირურგიულ, ტრავმა თუ ფსიქიატრიულ პაციენტებს.

5. რეზიდენტურის პროგრამის დამთავრების შემდეგ ექიმ-სპეციალისტს შეეძლება დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, გაუწიოს პაციენტს შესაბამისი დახმარება, დაადგინოს სწორი დიაგნოზი, შეიმუშავოს ავადმყოფის გამოკვლევისა და საწყისი მკურნალობის ტაქტიკა, განსაზღვროს პაციენტის შემდგომი დისპოზიცია, ბინაზე გაწერისას პაციენტს მისცეს შებამისი რეკომენდაციები.

6. რეზიდენტურის პროგრამის სრული კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ მსმენელი იღებს შესაბამის სერტიფიკატს მედიცინის ამ სფეროში დამოუკიდებელი საქმიანობის უფლების შესახებ.

7. გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტს უნდა შეეძლოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი სისტემების მხრივ გამოვლენილი პათოლოგიების მართვა:

- ა) გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები;
- ბ) კრიტიკული მდგომარეობები;
- გ) დერმატოლოგიური პათოლოგიები;
- დ) გარემო პირობების ზემოქმედებით განვითარებული დავადებები;
- ე) შინაგანი სნეულებები;
- ვ) ქირურგიული პათოლოგიები;
- ზ) ნევროლოგიური პათოლოგიები;
- თ) მეან-გინეკოლოგიური დარღვევები;
- ი) ოფთალმოლოგიური პათოლოგიები;
- კ) ორთოპედიული პათოლოგიები;
- ლ) ოტო-ლარინგოლოგიური პათოლოგიები;

- მ) პედიატრიული პათოლოგიები;
- ნ) ფსიქიატრიული პათოლოგიები;
- ო) ტოქსიკოლოგიური მდგომარეობები;
- პ) ტრავმა;
- ჟ) უროლოგიური პათოლოგიები.

8. ექიმი-სპეციალისტი ყველა ზემოაღნიშნულ მოთხოვნასთან ერთად უნდა ფლობდეს ანესთეზიის საფუძვლებს და იცნობდეს გერიატრიული პაციენტების თავისებურებებს.

### **მუხლი 3. გადაუდებელი მედიცინის ექიმ-სპეციალისტის ზოგადი ცოდნა**

1. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.
2. საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახაბ“.
3. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“.
4. პროფესიული პასუხისმგებლობის ასპექტები, მალპრაქტიკა.
5. სიკვდილის კონსტატაცია და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ფონისძიებები.
6. პაციენტთა უსაფრთხოების პრინციპები.
7. მკურნალობის ხარისხი და მისი კონტროლის პრინციპები.
8. სამუშაო გარემოს უსაფრთხოება, პროფესიული მავნეობის საკითხები.
9. გადაუდებელი დახმარების არსი, მისი ორგანიზაცია და მენეჯმენტი - ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების სამივე დონეზე (პირველადი, მეორადი და მესამეული).
10. კრიტიკულ შემთხვევათა კლინიკური მართვა; ქირურგიის ეკონომიკური ასპექტები.
11. ზოგადი სამედიცინო მენეჯმენტი (კრიზისული სიტუაციების მართვა, დროის მენეჯმენტი, ჯაზუფური მუშაობის პრინციპები).
12. ავადმყოფის ინფორმირებული თანხმობა.
13. მტკიცებულებებზე დაყრდნობილი პრაქტიკის ინტერპრეტაცია.
14. ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ახალი სამკურნალო საშუალებების კრიტიკული ანალიზი.
15. კოლეგებთან, პაციენტებთან, მათ ნათესავებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ასპექტები.
16. ვერბალური, წერილობითი და ელექტრონული კომუნიკაციები.
17. კონფლიქტების გადაწყვეტა და მენეჯმენტი.
18. საკითხისა და შემთხვევისადმი მულტიდისციპლინური მიდგომის პრინციპები.
19. კლინიკური აუდიტი და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესები.

### **მუხლი 4. გადაუდებელი მედიცინის ექიმ-სპეციალისტის ზოგადი უნარ-ჩვევები**

1. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა ურგენტული სიტუაციის მართვა და ყველა მანიპულაციის კვალიფიციურ დონეზე წარმოება; საერთაშორისო გაიდლაინებსა და პროტოკოლებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების სწორად და დროულად მიღება.

2. სწრაფი/ეფექტური აზროვნება გადაწყვეტილებების მიღებისას, განსაკუთრებით, როდესაც ავადმყოფი იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში.

3. ხარისხის გაუმჯობესებისა და რისკის მართვის საფუძვლების პრაქტიკაში განხორციელება, რაც გულისხმობს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობის ხარისხის ამაღლებას და სამუშაო ადგილას საერთო კლინიკური დონის უწყვეტ განვითარებას.

4. ლიდერობა და ადმინისტრირება, მისთვის დაქვემდებარებული სამედიცინო პერსონალის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული მითითებების მიცემა; ეფექტური თანამშრომლობა კოლეგებთან და სხვა სპეციალობის ექიმებთან.

5. ეთიკური, იურიდიულად დასაბუთებული განსჯა, რაც შეეფერება მაღალი კვალიფიკაციის ექიმ სპეციალისტს.

6. პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისათვის/ახლობლებისათვის პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ რეკომენდაციების/ინფორმაციის მიწოდება.

7. მზადეოფნა უწყვეტი პროფესიული განათლებისათვის, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ექიმი-სპეციალისტის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისა და სრულყოფისათვის.

8. სამეცნიერო კვლევების, ნაშრომების აღეკვატური აღქმა და ინტერპრეტაცია, ამავდროულად თვითონაც შეეძლოს სამეცნიერო კვლევის წარმართვა ან მასში აქტიური მონაწილეობა.

9. გამოავლინოს პატივისცემა პაციენტის და მათი ოჯახის წევრების მიმართ, აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება მათი საჭიროებიდან გამომდინარე.

**მუხლი 5. დაავადებების/ მდგომარეობების ჩამონათვალი, რომელთა კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობას, სხვადასხვა სახის გართულებების პროფილაქტიკასა და პაციენტის შემდგომი დისპოზიციის განსაზღვრას მოიცავს გადაუდებელი მედიცინა**

ა) კარდიოგასკულარული პათოლოგიები (ტკივილი გულ-მკერდის არეში (დიფერენციული დიაგნოზი), მწვავე კორონარული სინდრომი (სტენოკარდია, მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი), არითმიები, ბლოკადები გულის უქმარისობა, სარქველოვანი პათოლოგიები, კარდიომიოპათიები, მიოკარდიტი, სინკოპე პულმონური ემბოლია, არტერიული ჰიპერტენზია, მეზენტერიაული სისხლძარღვების იშემია, აორტის ანევრიზმა და მასთან დაკავშირებული ურგენტული სიტუაციები, პერიფერიული სისხლძარღვების იშემია, ვენური თრომბოზები, კარდიოგენული შოკი);

ბ) კრიტიკული მდგომარეობები (შოკი, უეცარი კარდიული სიკვდილი დისრითმიები, სეფისი, ტრავმა, ტოქსიური მდგომარეობები, რესპირატორული დისტრესი/ უქმარისობა, ღვიძლის და თირკმლის უქმარისობა, ნევროლოგიური დაავადებებით გამოწვეული კრიტიკული მდგომარეობები, კარდიოპულმონური რესუსციტაცია და მისი თავისებურებები ასაკოვან პაციენტებში ანტიდისრითმიული და ვაზოაქტიური მედიკამენტების ფარმაკოლოგია მუგა-ტუტოვანი წონასწორობის მართვა ელექტროლიტებისა და წყალ-მარილოვანი ცვლის დარღვევები რესუსციტაცია და ეთიკური პრობლემები);

გ) დერმატოლოგიური პათოლოგიები (დერმატიტები, ეგზემა, რბილი ქსოვილების ინფექციები, მაკულოპაპულარული დაზიანებები, კანის პაპულარნოდულარული დაზიანებები, ერითემა, კანის ვეზიკულური და ბულოზური დაზიანებები, კანის ხშირი სიმსივნეები, სისტემური დაავადებების კანისმიერი გამოვლინებები);

დ) გარემო პირობებით გამოწვეული დაზიანებები (დამწვრობა, ქიმიური რეაგენტების ზემოქმედება, ელექტროტრავმა, სითბური, რადიაციული დაზიანებები, მოყინვა, პიპოთერმია, დახრჩობა ბაროტრამვა);

ე) შინაგანი სნეულებები (ლვიძლისა და ნაღვლის ბუშტის პათოლოგიები, კუჭნაწლავის ტრაქტის პათოლოგიები, პანკრეატიტი, აპენდიციტი ჰემოგლობინოპათოები, ინფექციური დიარეა, სისხლდენები, იმუნოკორმარმისული პათოლოგიები, რევმატოდული და აუტოიმუნური პათოლოგიები, ბაქტერიული ინფექციები (გონორეა, სიფილისი, ტუბერკულოზი, ტეტანუსი), სეფსისი, პარაზიტული პათოლოგიები, ვირუსული ინფექციები, თირკმლის პათოლოგიები, ენდოკრინული პათოლოგიები, მეტაბოლური პათოლოგიები, სასუნთქი სისტემის პათოლოგიები, სისხლმბადი ორგანოების პათოლოგიები, ლიმფური სისტემის პათოლოგია, რესპირატორული დისტრესი მულტიორგანული უკმარისობა);

ვ) ქირურგიული პათოლოგიები (ტკივილი მუცლის არეში (დიფ.დიაგნოზი და მართვა), მწვავე მუცლის მართვის ზოგადი პრინციპები მკერდის პათოლოგიები, პროქტოლოგიური პათოლოგიები, ქირურგიული ინფექციების პროცედურები და მკურნალობა, მუცლის კედლის სტრუქტურული დეფექტები);

ზ) ნევროლოგიური პათოლოგიები (ცერებროვასკულარული პათოლოგიები, თავის ტკივილი, გულყრები, ზურგის ტვინის კომპრესია, ნევროლოგიური ინფექციები, ნევროლოგიური ანთებითი მდგომარეობები, კრანიალური ნერვების პათოლოგია, ნეირომუსკულარული დარღვევები, ფსევდოტუმოროზული პათოლოგიები, პერიფერიული ნეიროპათიები, ტრავმული მდგომარეობები, ინტრაკრანიალური პიპერტენზია);

თ) მეან-გინეკოლოგიური სიტუაციები (მცირე მენჯის არეში ტკივილი, ვაგინალური სისხლდენები ორსულებში და არაორსულებში, დისმენორეა, მცირე მენჯის ორგანოთა ანთებითი დაავადებები, საშარდე სისტემის ინფექციები, ვაგინიტები, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები, პერინატალური და ნეონატალური რესუსკიტაცია, საშვილოსნოს გარე ორსულობა, პლაცენტის პათოლოგიები, პრეეკლამპსია და ეკლამპსია, საკვერცხის შემოგრეხვა, ტრამვა ორსულებში, საკეისრო კვეთის ჩევნებები, მშობიარობის მიღება, გართულებული მშობიარობების მართვა, პოსტპარტუმ პათოლოგიები);

ი) ოფთალმოლოგიური პათოლოგიები (ტოპიკური და სისტემური ოფთალმოლოგიური პათოლოგიები, მხედველობის დაკარგვის მწვავე მდგომარეობები, ტკივნეული თვალი, წითელი თვალი, ქიმიური რეაგენტებით თვალის დაზიანება, უცხო სხეული თვალში, გლაუკომა, ორბიტალური და პერიორბიტალური ცელულიტები);

კ) ორთოპედიული პათოლოგიები (ორთოპედიული ტრამვები, არატრამვული სახსროვანი პათოლოგიები, კუნთოვან-სახსროვანი ანთებითი და ინფექციური დაავადებები, უცხო სხეული რბილ ქსოვილებში ნაკბენი, კომპარტმენტ-სინდრომი,

ტკივილი ზურგის ქვემო ნაწილში, აგარის შედეგად მიღებული დაზიანებები, ორთოპედიული ტკივილის მართვა);

ლ) ოტო-რინო-ლარინგოლოგიური პათოლოგიები (თავისა და კისრის ინფექციები, ეპისტაქსისი, ტიმპანური მემბრანისა და შუა ყურის პათოლოგიები, ოროფარინგეალური აბსცესი, სტომატოლოგიური ურგენტული სიტუაციები, ყბების პათოლოგიები, თავის, კისრის, სახის და კბილების ტრამვა, სანერწყვე ჯირკვლების პათოლოგია, ყურის, ცხვირის და ხორხის უცხო სხეულები, კავერნოზული სინუსის თრომბოზი, ლუდვიგის ანგინა, ავთვისებიანი ოტიტები);

მ) ჰედიატრიული პათოლოგიები (ჰედიატრიული ცხელება და ინფექციები, ნევროლოგიური დაავადებები, ტრამვა, კარდიოლოგიური პათოლოგიები, რესპირატორული პათოლოგიები, ენდოკრინული და ჰემატოლოგიური დარღვევები, გინეკოლოგიური და უროლოგიური დაავადებები, ორთოპედიული და რბილი ქსოვილების პათოლოგიები, სისტემური პათოლოგიები, აბდომინალური ჩივილები);

ნ) ფსიქიატრიული პათოლოგიები (სუიციდის რისკის შეფასება, ფსიქიატრიულ პაციენტებთან ურთიერთობის პრინციპები, პერსონალობის დარღვევები, აგზნებადობა, ფსევდოდემენცია და ჭეშმარიტი დემენცია, აბსტინენციის სინდრომი და მასთან დაკავშირებული მდგომარეობები);

ო) ტოქსიკოლოგიური მდგომარეობები (მოწამლული პაციენტებისადმი ზოგადი მიდგომის პრინციპები, ალკოჰოლითა და ნარკოტიკული ინტენსიკაცია, ყველაზე ხშირად გამოყენებად ტოქსიურ აგენტებთან დაკავშირებული მდგომარეობები, მცენარეებისა და ცხოველების შესამებით გამოწვეული ტოქსიური მდგომარეობები, მედიკამენტური ინტენსიკაციები);

პ) ტრავმა (ტრამვული დაზიანებები (სიმწვავის შეფასება, დიაგნოსტირება, მკურნალობა), სიცოცხლისთვის საშიში ან ორგანოს კარგვის რისკების შეფასება, ტრამვული პაციენტების რესუსტიტაცია, მუცლის ტრამვული დაიზიანებები გულ-მკერდის ტრამვული დაზიანებები, მაქსილოფაციალური ტრამვა, კიდურების პენეტრირებული ტრამვული დაზიანებები, გერიატრიული და ჰედიატრიული ტრამვული პაციენტების თავისებურებები, ჭრილობების მართვა);

ჟ) უროლოგიური პათოლოგიები (პრევენალური, რენალური და პოსტრენალური უქმარისობები, ქრონიკული და მწვავე თირკმლის უქმარისობა დიალიზი, საშარდე გზების ინფექციები, ტესტიკულარული დარღვევები (სათესლე ჯირკვლის შემოგრეხვა, ეპიდემიტი, ორხიტი), სასქესო ორგანოს დაავადებები, შარდის შეკავება, კენჭოვანი დაავადება, ტრამვული უროლოგიური მდგომარეობები);

რ) ექიმი-სპეციალისტი ყველა ზემოაღნიშნულ მოთხოვნასთან ერთად უნდა ფლობდეს ანესთეზიის, მწვავე ტკივილის მართვის, პროცედურული სედაციის საფუძვლებს და იცნობდეს გერიატრიული პაციენტების თავისებურებებს).

**მუხლი 6. იმ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების ჩამონათვალი, რომელთა შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეეძლოს გადაუდებელი მედიცინის ექიმ-სპეციალისტს**

## 1. ელექტროკარდიოგრაფია.

2. სასუნთქი, გულ-სისხლძარღვთა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, დვიძლის, თირკმლების და სხვა შინაგანი ორგანოების, ენდოკრინული სისტემის შესაფასებელი ტესტები (გამოკვლევები).

3. კოგულოგრამის, მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის, აირთა ცვლის, წყალ-ელექტროლიტური ბალანსის შეფასება.

4. ბიოლოგიური სითხეების/გამონაყოფების აღება ლაბორატორიული შესწავლისათვის, მათი შედეგების ინტერპრეტაცია.

5. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი და მძიმედ დაზიანებულ პაციენტთა კლინიკური შეფასების შეკალები.

6. რესპირაციული დარღვევების ამოცნობა და კორექცია.

7. ქალას შიდა წნევის მაჩვენებელი.

8. ჰემოგრანსფუზია: ჩვენებები, რისკები, გართულებები, პლაზმის შემცვლელები.

9. სისხლძარღვთა დაავადებების გამოსაკვლევად საჭირო სპეციფიკური ტექნიკური საშუალებებით მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია.

10. ოორაკოცენტრეზის შედეგების ინტერპრეტაცია.

11. ბრონქოსკოპია ჩვენებები/გართულებები.

12. ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია, ჩვენებები, გართულებები და მათი მართვა.

13. წყალ-მარილოვანი ბალანსის შეფასება და შენარჩუნება.

14. საყლაპავის ვარიკოზების სკლეროთერაპია.

15. ულტრაბაბგერითი გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია.

16. გულ-მკერდის, მუცლის დრუს, თავის ქალას, ძვლების და სახსრების რენტგენოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაცია.

17. სადიაგნოსტიკო რადიოლოგიის მეთოდებით (კომპიუტერული ტომოგრაფია და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი) მიღებული ინფორმაციის დამუშავება და ინტერპრეტაცია.

18. მუცლისა და კიდურების სისხლძარღვების დოპლეროგრაფიული მაჩვენებლების ინტერპრეტაცია.

19. სისხლის კლინიკური ანალიზის (საერთო, ბიოქიმიური, კოგულოგრამა და ა.შ.) ინტერპრეტაცია.

20. შარდის საერთო და ბიოქიმიური ანალიზების შედეგების ინტერპრეტაცია.

21. ბაქტერიოლოგიური კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია.

22. იმუნო-სეროლოგიური კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია.

23. ERCP (ენდოსკოპური, რეტროგრადული, ქოლანგიო- პანკრეატოგრაფია), პაპილოტომია, ნაღვლოვანი კენჭების ექსტრაქცია და სანათურშიდა სტენტირება – საფუძვლები.

24. სადიაგნოზო რადიოლოგიის პრინციპები, სონოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი.

25. მუცლისა და კიდურების სისხლძარღვების დოპლეროგრაფია, ჩვენებები, შედეგების ინტერპრეტაცია.

26. სისხლძარღვებში, ორგანოებსა და სხვა სტრუქტურებში სტენტებისა და პროტეზების ინტერვენციულ-რადიოლოგიური ჩაყენების ძირითადი პრინციპები.

27. გასტროზოფაგული რეფლუქსის დიაგნოსტიკა (მაგ.: pH-მეტრია).

28. ნუტრიციული მხარდაჭერა: ჩვენება, ტექნიკა, სრული პარენტერული კვება.

29. საყლაპავის ვარიკოზების სკლეროთერაპიის საფუძვლები.

30. ექიმი-სპეციალისტის უნდა შეეძლოს ყველა აღნიშნული ლაბორატორიული და კლინიკურ-ინსტრუმენტული გამოკვლევების დაგეგმვა და მიღებული შედეგების კლინიკური ინტერპრეტაცია. მათ საფუძველზე შემდგომი კლინიკური გადაწყვეტილებების მიღება.

## **მუხლი 7. გადაუდებელი მედიცინის ექიმ-სპეციალისტის პრაქტიკული უნარ-ჩვევები**

1. პაციენტის გასინჯვა: ანამნეზის შეგროვება, სუბიექტური და ობიექტური მონაცემების შეფასება, კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების რაციონალური და მიზნობრივი დანიშვნა.

2. კუნთებში, ვენაში, კანქვეშ ინექციები.

3. ინტრავენური მანიპულაციები.

4. ბიოლოგიური სითხეების/გამონაყოფების აღება ლაბორატორიული შესწავლისათვის.

5. ინტუბაცია.

6. მექანიკური ვენტილაცია და აპარატის მახასიათებლების შერჩევა.

7. კრიკომიოროგომია.

8. უცხო სხეულის აღმოჩენა და მოცილება.

9. ადგილობრივი და ზოგადი ანესთეზია.

10. პროცედურული სედაცია.

11. რეგიონული ნერვული ბლოკადა.

12. ელექტროკარდიოგრაფია.

13. ბრონქოსკოპიის საფუძვლები (ჩვენება, უკუჩვენება, ჩატარების ზოგადი ტექნიკა).

14. ფიბროეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია (ჩვენება, უკუჩვენება, ჩატარების ზოგადი ტექნიკა).

15. რიგიდული და ფიბროსკოპული სადიაგნოზო პროჭმო-კოლონოსკოპიის საფუძვლები.

16. ანოსკოპია.

17. ართოცენტრები.

18. ულტრასონოგრაფია.

19. ცისტოურეტოროგრამა.

20. ლუმბალური პუნქცია.

21. ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმა.

22. პარაცენტრები.

23. პერიკარდიოცენტრები.

24. თორაკოცენტრები, გულმკერდის დრენირება.

25. რინოსკოპია.

26. ოტოსკოპია.

27. ლარინგოსკოპია.

28. ოფთალმოსკოპია.

29. შარდის ბუშტის კათეტერიზაცია.
30. ფოლის კათეტერი.
31. სუპრაპუბიკური კათეტერი.
32. ეპისტაქსისის კონტროლი.
33. პერიტონილარული აბსცესების დრენირება.
34. კბილების სტაბილიზაცია.
35. ლატერალური კანთოტომია.
36. არტერიების კათეტერიზაცია.
37. ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია.
38. ძვალში ინფუზია.
39. გასტროინტესტინური სისხლდენის უბნების მკურნალობა (ინიციაციები, კლიპინგი, ლაზერი – კლინიკური საფუძვლები).
40. გადაუდებელი ქირურგული პროცედურები.
41. ქალაშიდა წნევის გასაზომი ხელსაწყოების გამოყენება.
42. ლიმფური კვანძების მარკირება და აღმოჩენა.
43. გასტროსტომის მილის შეყვანა საფუძვლები.
44. საყლაპავისა და კუჭის მოტორული ფუნქციისა და კუჭის მოტორული ფუნქციის დარღვევის შესწავლა (მაგ.: მანომეტრია) – საფუძვლები.
45. ტკივილის მართვა.
46. აგზებული პაციენტის მართვა.
47. ფრჩხილების მოცილება.
48. ჭრილობის დამუშავება და დახურვის ტექნიკა.
49. ჭრილობის მართვა.
50. ესქაროტომია (მკვდარი ქსოვილების მოცილება).
51. ბიოფსიისა და ციტოლოგიური კვლევისათვის მასალის აღების პრინციპები და ტექნიკა.
52. ქსოვილთა ნიმუშების აღება კრიოსექციის და პარაფინული პისტოლოგიის, ციტოლოგიისა და ბაქტერიოლოგიისათვის.
53. ხერხემლის ტრავმული დაზიანების საწყისი მართვა.
54. პირველადი სასწრაფო დახმარება თვალის ტრავმის, ჭრილობების, დამწვრობის დროს.
55. კრიოგულ მდგომარეობაში მყოფი და მძიმედ დაზიანებულ პაციენტთა კლინიკური შეფასების შეალები.
56. რესუსციტაცია (რეანიმაცია) და ჰემოდინამიკური მხარდაჭერა.
57. კარდიოპულმონური და ფარმაკოლოგიური რესუსციტაცია.
58. ნეონატალური რესუსციტაცია.
59. კარდიალური პერიოდი.
60. დეფიბრილაცია/კარდიოვერსია.
61. თორაკოტომია.
62. უნივერსალური უსაფრთხოების ზომების განხორციელება.
63. ბიოლოგიური საშიში ნივთიერებების დეკონტამინაცია.
64. შშობიარობის მიღება.
65. ტრამვული კიდურების იმობილიზაცია.

## 66. ამოვარდნილობების ჩასწორება.

### მუხლი 8. პროფესიული მზადების სტრუქტურა და შეფასების მექანიზმი

1. სწავლის ხანგრძლივობაა 3 წელი. რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის მუშაობის სქემა დაყოფილია მზადების თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. თეორიული და პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობს პარალელურად.

2. თითოეული რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ასრულებს გარკვეულ საქმიანობას. თეორიული პროგრამის შესრულება და მრავლობითი მოდულები/როტაციები გამიზნულია იმისათვის, რომ რეზიდენტმა/საექიმო სპეციალობის მაძიებელმა შეძლოს ავადმყოფთა ფართო სპექტრის განსხვავებული შემთხვევების ნახვა, შესწავლა და მართვა; საგანმანათლებლო გამოცდილების მიღება, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე სარეზიდენტო პროგრამით.

3. ამ პროცესის დროს რეზიდენტებზე/საექიმო სპეციალობის მაძიებლებზე ზედამხედველობა ხორციელდება სპეციალურად დანიშნული ექიმების (მოდულზე პასუხისმგებელი პირი - ლოკალური ხელმძღვანელი) მიერ. თითოეულ რეზიდენტზე/საექიმო სპეციალობის მაძიებელზე ზედამხედველობისა და მისი საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება წერილობითი ანგარიშის სახით. საჭიროა გაკონტროლდეს რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის მიერ მისი ინდივიდუალური გეგმის შესრულება, რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის წასვლა-მოსვლის განრიგი, სხვა ვალდებულებანი, რომლებიც პროგრამით არის გათვალისწინებული. პროფესიული მზადების დამასრულებელი წლის რეზიდენტს/საექიმო სპეციალობის მაძიებელს, კომპეტენციასთან ერთად, პროპორციულად ეზრდება პასუხისმგებლობა და მოვალეობები, მათ შორის ავადმყოფთა მკურნალობასა და მოვლასთან დაკავშირებით.

### მუხლი 9. სწავლების/შეფასების პრინციპები

1. ექიმი-სპეცილისტის მომზადების პროგრამა მოიცავს:

- თეორიული მასალის მიწოდებას ლექციების სახით;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას მითითებული ლიტერატურის მიხედვით;
- სიმულაციების გამოყენებით პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- პრაქტიკული მუშაობით პროცედურული და დიაგნოსტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- შემთხვევების განხილვას და სწავლებას ვიდეო-მასალების გამოყენებით.

2. სწავლების პროცესში მსმენელებზე ზედამხედველობა ხორციელდება სწავლების ციკლში ჩართული ექიმ/მასწავლებლების – მოდულზე პასუხისმგებელი პირების მიერ. თითოეულ მსმენელზე ზედამხედველობისა და მისი საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება წერილობითი ანგარიშის სახით. ფასდება:

- მსმენელის კლინიკური ცოდნა;
- პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

გ) მეცნიერულად დასაბუთებული მტკიცებულებების მოპოვებისა და მათი ანალიზის უნარი, სტატიების განხილვაში მონაწილეობის მიღება და სტატიის ანალიზის საფუძველზე მოხსენების მომზადება;

დ) ლექცია-სემინარებზე დასწრება;

ე) საფალდებულო მორიგეობების შესრულება;

ვ) სალექციო პრეზენტაციებისა და საინტერესო შემთხვევების განხილვისას მოხსენებების მომზადება;

ზ) ავადობა/სიკვდილობის კონფერენციებში მონაწილეობა და განსახილველი შემთხვევების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება;

თ) მათი მონაწილეობა დეპარტამენტში წარმოებულ კლინიკურ კვლევებში;

ი) მათი ჩართულობა დეპარტამენტის სისტემურ საქმიანობაში;

კ) მათი კომუნიკაციის უნარი და ეთიკური ქცევა.

3. ექიმ/მასწავლებლებს – მოდულზე პასუხისმგებელ პირებს გააჩნიათ, როგორც იურიდიული, ისე ეთიკური პასუხისმგებლობა ინდივიდუალური პაციენტის მკურნალობასა და მოვლაზე, ამავე დროს მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირის საქმიანობაზე და განათლებაზე. უფლებამოსილების გადაცემის საზღვრები, კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ზედამხედველი ექიმის მიერ, გამომდინარე მსმენელის აკადემიური მომზადების დონიდან და ტექნიკური მზაობიდან. ამგვარი მიღება უნდა ეფუძნებოდეს პროგრამის ხელმძღვანელის ხანგრძლივ დაკვირვებას, რომელიც პასუხისმგებელია მსმენელის მიერ უნარ-ჩვევების ათვისებაზე და ხარისხზე.

4. მსმენელთა ტესტირებული შეფასება მოხდება რაოდენობრივი, ხოლო ყველა სხვა აუცილებელი კომპონენტისა - ხარისხობრივი სისტემით.

5. შეფასების მეთოდები:

ა) რეზიდენტურის პროგრამაში მონაწილეობისას მსმენელები უნდა აკმაყოფილებდნენ დადგენილ აკადემიურ კრიტერიუმებს. მსმენელთა აკადემიური კომპეტენციისა და კლინიკური უნარ-ჩვევების პროგრესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება ხორციელდება რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა შეფასების დადგენილი სისტემის მეშვეობით. მსმენელთა საბაზისო და კლინიკური ცოდნის, კლინიკური უნარ ჩვევების, ზოგად სამედიცინო ასპექტებისა და სხვა კომპონენტების შეფასების ამსახველი ინფორმაცია საბოლოო ჯამში თავს იყრის რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელთან;

ბ) მსმენელთა ცოდნის გაუმჯობესების მონიტორინგი ხორციელდება ეტაპობრივად, თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ და ყოველი წლის ბოლოს;

გ) თითოეული როტაციის დროს მსმენელის შეფასება მოხდება:

გ.ა) ზეპირი გამოკითხვა;

გ.ბ) ტესტური გამოკითხვა;

გ.გ) პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება;

გ.დ) სიმულაციურ ლაბორატორიაში მუშაობის შეფასება;

გ.ე) კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეფასება;

გ.ვ) პრეზენტაციების მომზადების უნარ-ჩვევების შეფასება;

გ. 9) საინტერესო კლინიკური კითხვების ანალიზის უნარი.

6. თითოეული პუნქტისთვის შემუშავებული იქნება სპეციალური შესაფასებელი ფორმა, რომელთა შევსებაც ხელმძღვანელების მიერ მოხდება უწყვეტად მთელი პროგრამის პერიოდში. თითოეული შესაფასებელი ფორმა თავს მოიყრის პროგრამის ხელმძღვანელთან.

7. ყოველი როგორის ბოლოს მსმენელს ჩატარდებათ ტესტირებული გამოკითხვა განვლილ მასალასთან დაკავშირებით.

8. თითოეული როგორის ბოლოს მოხდება შეგროვებული ინფორმაციის დამუშავება, მოეწყობა ხელმძღვანელთა შეკრებები და განხილული იქნება თითოეული მსმენელის მიღწევები. აღნიშნული განხილვების საფუძველზე მსმენელისათვის შემუშავდება ინდივიდუალური რეკომენდაციები მათი ცოდნის გაუმჯობესების მიზნით, რაც დროულად მიეწოდებათ ადრესატებს.

9. ყოველი წლის ბოლოს შეჯამდება მსმენელის საქმიანობა და განხილული იქნება მისი წლიური შედეგები ყველა ზემოთ მოცემული პუნქტის შესაბამისად.

10. მსმენელს თავისი საქმიანობის დასაფიქსირებლად ექნება სპეციალური სამუშაო ფორმები, მინიჭებული თრი ფორმა: კლინიკური საქმიანობისთვის და პროცედურული უნარ/ჩვევებისთვის. პირველ ფორმაში დაფიქსირდება გატარებული პაციენტების ვინაობა, დიაგნოზი, მართვის მნიშვნელოვანი ასპექტები; ხოლო მეორე ფორმაში აღინიშნება ის მანიპულაციები, რომელსაც მსმენელი ესწრება ან თავად აწარმოებს. თითოეული ფორმის ბოლოში მოცემული იქნება მსმენელის საქმიანობის შესაფასებელი საზომები, რომელთა შევსება პროგრამის ხელმძღვანელის პუხისმგებლობა იქნება.

11. მსმენელი უფლებამოსილია დასვას მისთვის საინტერესო კლინიკური კითხვები და ლიტერატურაში მოძიებული პასუხების საფუძველზე მოახდინოს კითხვის ანალიზი. აღნიშნული სახით მოსამზადებელი კითხვა/პასუხის რაოდენობა ისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

## მუხლი 10. სარეზიდენტო პროგრამის შინაარსი

გადაუდებელ-მედიცინაში სუბსპეციალობის სასწავლო პროგრამა შედგება 12 მოდულისაგან:

პროფესიული მზადების განრიგი		
მოდული №№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
მოდული 1.	შესავალი (გადაუდებელი საფუძვლები, ადმინისტრირება, ეთიკა, სამეცნიერო კვლევები, პრეპოსპიტალური ნეკროლოგია, ფსიქიატრია, გერიატრია)	3 თვე
მოდული 2.	გულ-სისხლძარღვთა დაავადებები	3 თვე
მოდული 3.	შინაგანი სნეულებები	3 თვე

მოდული 4.	პედიატრია	1.5 თვე
მოდული 5.	მეან-გინეკოლოგია	1.5 თვე
მოდული 6.	ორთოპედია	2 თვე
მოდული 7.	ოფთალმოლოგია, ოტოლარინგოლოგია, დერმატოლოგია, ზოგადი ქირურგიის საფუძვლები, უროლოგია	2 თვე
მოდული 8.	ჭრილობის მენეჯმენტი	1 თვე
მოდული 9.	ტრამვა	4 თვე
მოდული 10.	ტოქსიკოლოგია, გარემო პირობებით გამოწვეული დაგვადებები	2 თვე
მოდული 11.	ანესთეზია	2 თვე
მოდული 12.	კრიტიკული მედიცინის უნარ-ჩვევები	6 თვე
მოდული 13.	სამეცნიერო თემის დამუშავება/დაცვა	2 თვე

### მუხლი 11. აკადემიური პერსონალი და საგანმანათლებლო რესურსები

1. პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მოვალეობები:

ა) რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა რეზიდენტურაში მისაღები პროგრამის განსაზღვრაში მონაწილეობა აკრედიტებულ დაწესებულებაში/ სასწავლებლში დადგენილი წესის მიხედვით კანონის შესაბამისად;

ბ) დიპლომის შემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) აკრედიტირებული პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა, პროგრამის მიმღინერებაზე კონტროლი;

გ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის უოგელწლიური ინდივიდუალური გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა მოდულზე პასუხისმგებელი პირისა და სამედიცინი დაწესებულების მითითებით;

დ) მოდულზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის ზედამხედველობა და შეფასება;

ე) რეზიდენტის/ საექიმო სპეციალობის მაძიებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობაზე კონტროლი;

ვ) მოდულზე პასუხისმგებელი პირის/პირების მონაწილეობით დადგენილი წესის მიხედვით რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება;

ზ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი ეტაპობრივი და/ან საბოლოო შეფასებისას, დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის წარდგენა აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის აღმინისტრაციაში რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის გარიცხვის შესახებ;

თ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი რეზიდენტან/საექიმო სპეციალობის მაძიებელთან

შეთანხმებით განსაზღვრავს მოდულის/მოდულების ნუსხას, რომელიც მან უნდა  
გაიაროს განმეორებით;

ი) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის მიერ საზღვარგარეთ  
გავლილი პროგრამის (მოდულების) შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის  
შემდგომ ჩათვლა/არჩათვლის თაობაზე დასკვნის გაცემა.

2. მოდულზე პასუხისმგებელი პირის ანუ ლოკალური ხელმძღვანელის  
მოვალეობები:

ა) სამედიცინო დაწესებულებაში რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის  
პრაქტიკული საქმიანობის უზრუნველყოფა კურიკულუმის (სასწავლო გეგმის)  
შესაბამისად: კვალიფიციური კონსულტაციებით, სასწავლო მასალებით  
(სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურა, სხვა პროგრამული საკითხები). სამედიცინო  
დაწესებულებაში პროგრამის მიმდინარეობის შეუფერხებელი წარმართვა;

ბ) პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან ერთად რეზიდენტების/საექიმო  
სპეციალობის მაძიებლების ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებაში მონაწილეობა;

გ) რეზიდენტთან/საექიმო სპეციალობის მაძიებელთან თეორიული და  
პრაქტიკული მუშაობისათვის საქმიანობის განსაზღვრული დროის დათმობა;

დ) თითოეული მოდულის დასრულების შემდეგ დაგენერილი წესის მიხედვით,  
პროგრამის ხელმძღვანელისთვის/დირექტორისთვის რეზიდენტის/საექიმო  
სპეციალობის მაძიებლის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა;

ე) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის დღიურში  
რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის მიერ შესრულებული სამუშაოს  
ხელმოწერით დადასტურება;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელთან/დირექტორთან  
პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე კონსულტირება.

3. რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის უფლება/მოვალეობანი:

ა) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის  
დაუბრკოლებელი დაძლევისათვის მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით  
უზრუნველყოფა (კვალიფიციური ხელმძღვანელი, საინფორმაციო/საკომუნიკაციო  
ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი);

ბ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს პროგრამის  
კურიკულუმის დარღვევის ან შეფერხების შესახებ წერილობით აცნობოს  
სამედიცინო დაწესებულების/ სასწავლებელის ხელმძღვანელობას;

გ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს განაგრძოს  
პროფესიული მზადება საზღვარგარეთ ან გადავიდეს სხვა აკრედიტებულ  
დაწესებულება/ სასწავლებელში;

დ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია შეასრულოს  
რეზიდენტურის პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი;

ე) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია პროგრამით  
განსაზღვრული და შესრულებული საქმიანობა დააფიქსიროს პერსონალურ  
დღიურში;

ვ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია დაიცვას  
სამედიცინო დაწესებულების/სასწავლო შინაგანაწესი და შეასრულოს  
დაწესებულების/ სასწავლებლის განრიგით განსაზღვრული საქმიანობა;

ზ) რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი შეიძლება გარიცხულ იქნას ერთი თვის განმავლობაში გამოუცხადებლობის ან პროგრამის ვერ დაძლევის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებლის გარიცხვის შესახებ იღებს პროგრამის ხელმძღვანელი/დირექტორი აკრედიტებულ სასწავლო დაწესებულებაში შესაბამისი მოხსენებითი ბარათის წარდგენით;

თ) რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია გაიარის ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება. ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება ტარდება – აკრედიტებულ დაწესებულებაში/სასწავლებელში დადგენილი წესის შესაბამისად;

ი) პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ რეზიდენტს/საექიმო სპეციალობის მაძიებელს სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე დასაშვებად ეძლევა აკრედიტებული დაწესებულების/სასწავლებლის მიერ გაცემული მოწმობა;

კ) პროგრამის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასებისას რეზიდენტს/საექიმო სპეციალობის მაძიებლს პროგრამის ხელმძღვანელის/დირექტორის მიერ განესაზღვრება მოდულის/ მოდულების ნუსხა, რომლებიც მან უნდა გაიაროს განმეორებით.

#### 4. რეზიდენტურის სასწავლო ბაზა:

ა) სასწავლო ბაზად გამოყენებული იქნება ის გადაუდებელი მედიცინის განყოფილებები/დეპარტამენტები/დაწესებულებები, რომლებშიც დასაქმებულია გადაუდებელ მედიცინაში საქმიანობის უფლების მქონე ექიმები;

ბ) სასწავლო ბაზა უნდა აკმაყოფილებდეს გადაუდებელი მედიცინის კურიკულუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. სპეციალობის ძირითადი მოდულების გავლა ხდება გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტში, გამონაკლისს წარმოადგენს: მეან/გინეკოლოგია; გადაუდებელი პედიატრია. ამ მოდულების სასწავლო ბაზად გამოყენებული იქნება შესაბამისი პროფილის დაწესებულებები, ხოლო სწავლებას განახორციელებენ ადგილობრივი კადრები რეზიდენტზე/საექიმო სპეციალობის მაძიებელზე მიმაგრებულ მოდულზე პასუხისმგებელ პირთან ერთად.

#### მუხლი 12. პროგრამის ხანგრძლივობა

1. გადაუდებელი მედიცინის სწავლების კურსის ხანგრძლივობაა 3 წელი (33 თვე).

2. პროგრამისათვის განკუთვნილი 33 თვიდან 31 თვე ეთმობა ლექცია/სემინარებსა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლებას (ასევე იგულისხმება ყოველთვიურად 8 ან 15-საათიანი დამის მორიგეობა), ხოლო ბოლო 2 თვე – პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მითითებულ თემაზე დამოუკიდებელ მუშაობას და რეზიდენტურის ბოლოს ამ თემის მოხსენება-წარდგინებას.

#### მუხლი 13. პროგრამის განახლების პერიოდულობა

პროგრამის განახლება უნდა ხდებოდეს 5 წელიწადში ერთხელ.

## თავი II. პროფესიული მზადების მოდულები

**მუხლი 14. მოდული 1. შესავალი (გადაუდებელი მედიცინის საფუძვლები, ადმინისტრირება, ეთიკა, სამეცნიერო კოლეგები, პრეპოსპიტალური სამსახური), ნევროლოგია/ფსიქიატრია/გერიატრია, ხანგრძლივობა - 3 თვე**

### 1. მოდულის მიზანია:

ა) გადაუდებელი მედიცინის საფუძვლების გაცნობა, ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, საექიმო საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს საკანონმდებლო ნორმების და თანამედროვე ბიოეთიკის პრინციპების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მიღებული ცოდნის გამოყენების უნარის გამომუშავება;

ბ) პრეპოსპიტალური დახმარების პრინციპების შესწავლა;

გ) ცენტრალური და პერიფერიული ნევროლოგიური დაავადებების/დისფუნქციის კლინიკური ნიშნებისა და სიმპტომების ამოცნობა და ურგენტული მართვის პრინციპების შესწავლა.

### 2. მოდულის ამოცანებია:

ა) გადაუდებელი მედიცინის საფუძვლების გაცნობა;

ბ) ლიდერობის და ადმინისტრირების ძირითადი პრინციპების შესწავლა;

გ) ხარისხის გაუმჯობესების და რისკის მენეჯმენტის პროგრამებისა და ცოდნის დონის ამაღლება;

დ) როგორც განყოფილების შიდა, ისე სხვა განყოფილებებთან მიმართებაში გადაუდებელი მედიცინის განყოფილების ფუნქციონირების პრინციპების გაცნობა;

ე) სააკრედიტაციო სააგენტოების/სამსახურების ფუნქციონირების პრინციპების გაცნობა გადაუდებელ მედიცინასთან მიმართლებით;

ვ) გადაუდებელ მედიცინასთან დაკავშირებული ძირითადი ეთიკური პრინციპების შესწავლა;

ზ) გადაუდებელ მედიცინასთან დაკავშირებული ძირითადი იურიდიული საკითხების შესწავლა;

თ) გადაუდებელ მედიცინასთან დაკავშირებული იურიდიული და ეთიკური საკითხების მსგავსებები და განსხვავებების გაანალიზება;

ი) სამედიცინო ლიტერატურის ანალიზის ტექნიკის შესწავლა;

კ) სამედიცინო ლიტერატურის გამოყენების უნარის გამომუშავება;

ლ) პრეპოსპიტალური დახმარების სამსახურის ძირითადი ორგანიზაციების სტრუქტურის შესწავლა;

მ) უბედური შემთხვევების მართვის ძირითადი პრინციპების შესწავლა;

ნ) პრეპოსპიტალური ტრიაჟისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრინციპების შესწავლა;

ო) პრეპოსპიტალური სამედიცინო დახმარების სამსახურთან დაკავშირებული სამედიცინო-იურიდიული პრინციპების შესწავლა;

პ) ნერვული სისტემის ხშირი დაავადებების/დაზიანებების ანატომიის, პათოფიზიოლოგიის, გამოვლინებების და მართვის შესწავლა;

უ) სკრინინგისა და დეტალური ნევროლოგიური შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავება;

რ) ნევროლოგიური დაავადებების შეფასებისთვის საჭირო დიაგნოსტიკური პროცედურების განხორციელებისა და გამოყენების შესწავლა;

ს) ნევროლოგიური დაავადებებისა და დაზიანებების დიაგნოსტიკისათვის რადიოლოგიური კვლევების ეფექტური დაგეგმვის შესწავლა;

ტ) თავისა და ზურგის ტვინის, ძვლის ტვინის და პერიფერიული ნერვების დაზიანებებისა და დაავადებების დიაგნოსტირების, პაციენტის სტაბილიზაციისა და საწყისი მკურნალობის შესწავლა;

უ) CSF შუნგის ფუნქციისა და შუნგის შესაძლო მაღლფუნქციის მქონე პაციენტების შეფასების შესწავლა;

ფ) ხშირად გამოყენებადი ფსიქოთერაპიული მედიკამენტებზე ცოდნის გაღრმავება;

ქ) სხვადასხვა ფსიქიატრიულ დაავადების მქონე პაციენტებთან კონსულტაციის ჩატარების უნარის გამომუშავება;

ღ) აგზებული პაციენტის მართვის პრინციპების შესწავლა;

ყ) ასაკის მომატებასთან დაკავშირებული ანატომიური, ფიზიოლოგიური, ფარმაკოლოგიური, და ფსიქოლოგიური ცვლილებების შესწავლა;

შ) გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში გერიატრიული პაციენტის მართვის პრინციპების შესწავლა;

ჩ) გერიატრიული პაციენტის გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული სოციალურ-ეთიკური საფუძვლების შესწავლა;

ც) ასაკის, დაავადებისა და გარემოს ფუნქციონალური სტატუსის კონცეფციის შესწავლა;

ძ) სიცოცხლის შემანარჩუნებელი მკურნალობისას გადაწყვეტილების მიღების ეთიკური პრინციპების შესწავლა;

წ) გერიატრიული პაციენტების თერაპიული, ნევროლოგიური, ფსიქოლოგიური, ქირურგიული დაავადებების პათოფიზიოლოგიისა და ურგენტული მკურნალობის შესწავლა.

3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა

თერაპიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესახულებელი მანიპულაციის რაოდენობა	დაგალება
<ul style="list-style-type: none"> <li>• გადაუდებელ მედიცინასთან მიმართებით შემდეგი ცნებების გაცნობა: აკრედიტაცია, კარიერული ზრდა, სამუშაოზე აყვანა, ბიუჯეტის შედგენა, ჯანდაცვის დაფინანსება, ჯანდაცვის მომსახურების</li> </ul>			დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურასთან

<p>კონტროლი/მართვა,    პერსონალის მენეჯმენტი,    საზოგადოებასთან    ურთიერთობა, მარკეტინგი,    საავადმყოფოს მართვა,    მომსახურების მენეჯმენტი,    კონტრაქტები, სამუშაო    განრიგი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მომსახურების            ღირებულების კონტროლი            გადაუდებელ მედიცინის            დეპარტამენტში</li> <li>• გადაუდებელი            მედიცინის განყოფილების            ადმინისტრაციული            მოწყობა</li> <li>• გადაუდებელ            სამედიცინო პრაქტიკასა            და სამეცნიერო            კვლევასთან            დაკავშირებული            სარგებლიანობის,            ავტონომიის,            სამართლიანობის და            კონფიდენციალობის            ისტორიული,            ფილოსოფიური და            პრაქტიკული ასპექტები</li> <li>• პაციენტის მიერ            გადაწყვეტილების მიღების            უნარის/კომპეტენციის            შეფასება</li> </ul>			
---	--	--	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• მედიკამენტების შენახვასთან, მიწოდებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული კანონები</li> <li>• სამედიცინო-იურიდიული პროცესების სწორი დოკუმენტირების მნიშვნელობა</li> <li>• პაციენტის რესუსკიტაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პრინციპები, რესუსკიტაციის შეწყვეტის ეთიკური პრინციპები</li> <li>• ლირებულების კონტროლი, რესურსების აღოკაცია, მოვლის ხარისხი</li> <li>• სადაზღვევო სისტემასთან ურთიერთობა</li> <li>• სავადმყოფოს მმართველობის ასპექტები და მისი კავშირი გადაუდებელი მედიცინის ფუნქციონირების ასპექტებთან</li> <li>• ექიმებს შორის დამოკიდებულების ასპექტები და პასუხისმგებლობები</li> <li>• პაციენტთა დაავადებების შესახებ ინფორმირებულობასთან, პაციენტის მოვლასა და გადაყვანასთან დაკავშირებული კანონები/მოთხოვნილებები</li> <li>• სიკვდილის შემთხვევების დაფიქსირებასა</li> </ul>	და		
--	----	--	--

<b>დოკუმენტირებასთან დაკავშირებული კანონები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>პრეპოსპიტალური დახმარება</b></li> <li>• <b>პრეპოსპიტალური სამედიცინო დახმარების სამსახურის მუშაობა</b></li> <li>• <b>პრეპოსპიტალური სამედიცინო დახმარების სამსახურის და რეფერალური სისტემის აღგილობრივი, სახელმწიფო და ნაციონალური კომპონენტები</b></li> <li>• <b>პრეპოსპიტალური სამედიცინო დახმარების სამსახურის კომუნიკაციური სისტემის ელემენტები</b></li> <li>• <b>პრეპოსპიტალური სამედიცინო დახმარების სამსახურთან დაკავშირებული სამედიცინო-იურიდიული საკითხები</b></li> <li>• <b>პრეპოსპიტალური სამედიცინო დახმარების სამსახურის უწყვეტი ხარისხის გაუმჯობესების პროცესები</b></li> <li>• <b>პრეპოსპიტალური სამედიცინო დახმარების სამსახურის პრეპოსპიტალური მოვლის პროტოკოლების შემუშავების განხილვა</b></li> <li>• <b>მასიური უბედური შემთხვევების და მათი მართვის მირითადი კონცეფციები</b></li> <li>• <b>სატრანსპორტო</b></li> </ul>	<b>ანამნეზის შეკრება; პაციენტის შემდგომი დისპოზიციის განსაზღვრა; შესაბამისი რჩევა- დარიგებების განსაზღვრა</b>	<b>სამედიცინო ტრანსპორტირების სისტემაში მონაწილეობა დამკვირვებლად ან ჯგუფის წევრად</b>	<b>დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურასთან</b>  <b>პრაქტიკული მუშაობა პაციენტთან, შემთხვევების განხილვა, რეფერატები, სალექციო მასალის მომზადება</b>
--	---	--	--

<p>სამედიცინო სამსახურების გამოყენების პრაქტიკა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უბედური შემთხვევების მენეჯმენტისას შეტყობინების, საპასუხო ქმედების და სამედიცინო მოვლის პროცესები ადგილობრივ,</li> <li>• სახელმწიფო დაციონალურ დონეზე</li> <li>• პრეპოსპიტალური სამედიცინო დახმარების სამსახურის სამედიცინო კონტროლის მნიშვნელობა და მეთოდები</li> </ul>			
<p><b>ნევროლოგია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნევროლოგიური სისტემის ანატომია და ნევროლოგიური დაზიანებების ლოკალიზაციის დადგენა</li> <li>• ცერებროვასკულარული იშემიური დაავადებების, გულურების, თავის, ტკიფილის, ზურგის ტვინის კომპრესიის, შუნების მალფუნქციის, ნევროლოგიური ინფექციების და ნევროლოგიური ანთებითი დაავადებების დიაგნოსტირება დართვა</li> <li>• თავის ტვინის ნერვების დაზიანების, დემიელიზაციური დაავადებების, ნეირომუსკულარული დაზიანებების, თავის ტვინის ფსევდოსიმსივნეების, ნორმალური წნევის</li> </ul>	<p>ცნობიერების სხვადასხვა დონის (ასევე ტრამვის შედეგად მოშლილი) და ნერვული დაზიანების მქონე პაციენტების მოკლე და სრული ნევროლოგიური ანამნეზის შეკრება; ფიზიკალური გამოკვლევა; გამოკვლევების ის</p> <p>დაგეგმარება და მიღებული შედეგების შეფასება; მკურნალობა; პაციენტის შემდგომი დისპოზიციის განსაზღვრა;</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნევროლოგიური გამოკვლევები</li> <li>• ნევროლოგიური ვიზუალიზაციის მეთოდების – რენტგენოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია – ინტერპრეტაცია</li> <li>• ზურგის ტვინის სითხის გამოკვლევა და გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია</li> <li>• სპინალური იმობილიზაციის ტექნიკა</li> </ul>	<p>დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურასთან პრაქტიკული მუშაობა პაციენტთან, შემთხვევების განხილვა, რეფერატები, სალექციო მასალის მომზადება</p>

<p>ჰიდროცეფალიის და პერიფერიული ნევროპათიის დიაგნოსტიკა და მართვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ცნს-ის დახურული და პენეტრირებული ტრავმული დაზიანებების შეფასება და მართვა</li> <li>• ხერხემლის მოტეხილობის, ქვეამოვარდნილობა და ამოვარდნილობის მართვა</li> <li>• იმ მწვავე ცერებროვასკულარული და ზურგის ტვინის დაზიანებების დიაგნოსტიკა და მართვა, რომლებისთვისაც შესაძლებელია ნევროლოგიური ინტერვენციების გამოყენება</li> <li>• თავის ტკივილის ძირითადი კლასიფიკაციები სხვადასხვა ტიპის თავის ტკივილის სამკურნალო მედიკამენტების დოზები, ჩვენებები და უპუჩვენებები</li> <li>• ნევროლოგიური ვიზუალიზაციის მეთოდების რენტგენოგრაფია, კომპიუტერული გომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული გომოგრაფია – ჩვენებები, ტექნიკა და უპუჩვენებები</li> <li>• ნევროლოგიური ვიზუალიზაციის მეთოდების</li> </ul>	<p>შესაბამისი რჩევა-დარიგებების განსაზღვრა</p>		
---	--	--	--

<p>ინტერპრეტაცია</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზურგის ტვინის სითხის გამოკვლევა და გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია</li> <li>• პედიატრიულ და ზრდასრულ პაციენტებში ნევროლოგიური ინფექციების მკურნალობის ჩვენებები, უპურვენებები და დოზირება</li> <li>• არა-ტრავმული მიზეზებით გამოწვეული ზურგის ტვინის კომპრენისის დიაგნოსტირება და მართვა</li> <li>• ინტრაკრანიული წნევის კონტროლის ტექნიკა და მისი ჩვენებები</li> </ul>			
<p><b>ფსიქიატრია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ნორმალური და შეცვლილი მენტალური სტატუსის მქონე პირების მენტალური სტატუსის გამოკვლევა</li> <li>• გადაუდებელი და რუტინული ფსიქიატრიული კონსულტაციის ჩვენებები</li> <li>• სუიციდის რისკის შეფასება</li> <li>• გადაუდებელი და ახმარების განყოფილებაში მყოფ აგზებულ პაციენტთან ურთიერთობა და პაციენტებისა პერსონალის საშუალებები</li> <li>• გადაუდებელი</li> </ul>	<p>ფსიქიატრიული პაციენტების ანამნეზის შეკრება; ფიზიკალური გამოკვლევების დაგეგმარება; გამოკვლევების და მიღებული შედეგების შეფასება; მკურნალობა; პაციენტის შემდგომი დისპოზიციის განსაზღვრა; შესაბამისი რჩევა-დარიგების</p>	<p>მწვავე ფსიქიატრიული დაავადების მქონე პაციენტებთან კონსულტაციის ჩატარების უნარი ნორმალური და შეცვლილი მენტალური სტატუსის მქონე პირების მენტალური სტატუსის მომზადება გამოკვლევა</p>	<p>დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურასთან პრაქტიკული მუშაობა პაციენტთან, შემთხვევების განხილვა, რეფერაციები, სალექციო მასალის მომზადება</p>

<p>დახმარების განყოფილებაში მყოფ ფსიქიატრიულ პაციენტთან ურთიერთობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფსიქიატრიული დაგვადებების ძირითადი კატეგორიები, მათ შორის აზროვნების, შემუცნების, აგზნებადობის და პერსონალობის დარღვევები</li> <li>• ფსიქოთერაპიული მედიკამენტების ძირითადი კლასების, მათ შორის ტრანკვილიზატორების, სედატიური საშუალებების, ჰიპნოზური საშუალებების, ანტიდეპრესანტების, ფარმაკოკინეტიკა, ჩვენებები და უპუნვენებები, გვერდითი ევექტები</li> <li>• ნებაყოფლობითი და არანებაყოფლობითი მკურნალობის რეჟიმთან დაქვემდებარების პრინციპები</li> <li>• ასაკოგან პირებში ფსევდოდემენციისა და ნამდვილი დემენციის დიფერენცირება</li> <li>• შეცვლილი მენტალური სტატუსის, მათ შორის დემენციისა და დელირიუმის ორგანული მიზეზები, მათი დიფერენცირება</li> <li>• ხშირი ინტოქსიკაციისა და აბსტინენციის სინდრომის დიაგნოსტიკა და მართვა</li> <li>• ალკოჰოლისა და</li> </ul>	<p>განსაზღვრა</p>		
---	-------------------	--	--

<p>ნარკოტიკების მოხმარების სშირი გართულებები და მათი დიაგნოსტირება და მართვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პერსონალობის დარღვევის მქონე პაციენტებთან, მათ შორის ანგისოციალურ, კომპულსიურ და პასიურ-აგრესიული პაციენტებთან ეფექტური ურთიერთობის დამყარება</li> </ul>			
<p><b>გერიატრია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გერიატრიული პაციენტების მოთხოვნილებების და მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების უნარის განხილვა</li> <li>• ასაკის მაჩვენებელთან ერთად ცვალებადი და არაცვალებადი ლაბორატორიული ტესტები</li> <li>• მოხუცებულებში დაავადებების (აპენდიციტი, მიოკარდიუმის ინფარქტი და სხვ.) ატიპიური გამოვლინებები და სიმპტომები</li> <li>• გერიატრიულ პაციენტებში დემენციისა და დელირიუმის დადგენა და დიაგნოსტიკა</li> <li>• მოხუცებულებებში დაცემის ეტიოლოგია და პათოგიზოლოგია, პაციენტების მოვლა</li> <li>• პოლიფარმაკოლოგიური მოხუცებული პაციენტების მართვა</li> <li>• მოხუცებულ</li> </ul>	<p>გერიატრიული პაციენტების ანამნეზის შეკრება; ფიზიკალური გამოკვლევა; გამოკვლევების დაგეგმარება და მიღებული შედეგების შეფასება; მკურნალობა; პაციენტის შემდგომი დისპოზიციის განსაზღვრა; შესაბამისი რჩევა-დარიგებების განსაზღვრა</p>	<p>გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში გერიატრიული პაციენტის მენტალური სტატუსის შეფასება</p>	<p>დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურასთან პრაქტიკული მუშაობა პაციენტთან, შემთხვევების განხილვა, რეფერატები, სალექციო მასალის მომზადება</p>

<p>პაციენტებში დეპრესიის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენების თავისებურებების</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოხუცთა ფიზიკური დამოკიდებულების, სექსუალური შეურაცხეოფის, ფიზიკური ძალადობის და ფიქოლოგიური დამოკიდებულებისა და მენეჯმენტი</li> <li>• მოხუცებულ პაციენტებში მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტირება და მკურნალობა</li> <li>• მოხუცებულ პაციენტებში ცერებრალური სისხლძარღვოვანი პათოლოგიების დიაგნოსტირება და მკურნალობა</li> <li>• მოხუცებულ პაციენტებში ტრამვისა და მუცლის მწვავე ურგენტული სიტუაციების დიაგნოსტირება და მკურნალობა;</li> <li>მოხუცებულებსა და ახალგაზრდებში ქირურგიული ურგენტული მდგომარეობების განსაზღვრა</li> <li>• მოხუცებულ პაციენტებში სინკოპეს, თავბრუსევების, სისხლდენების და ინფექციების მართვა;</li> <li>• გადაუდებელი დახმარების</li> </ul>			
---	--	--	--

განყოფილებიდან გაწერილი მოხუცებული პაციენტის ფსიქოსოციალური საჭიროებების სწორად განსაზღვრა			
---	--	--	--

4. მოდულის შეფასების მეთოდები (კრიტერიუმები, პერიოდულობა) – შეფასება  
 ზემოთ აღნიშნული ყველა ასპექტის შესაბამისად.

### მუხლი 15. მოდული 2. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. ხანგრძლივობა - 3 თვე

1. მოდულის მიზანია - შეასწავლოს მსმენელს გულ-სისხლძარღვთა სისტემის თანადაცვლილი და შეძენილი პათოლოგიით, გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში მოხვედრილი პაციენტის დიაგნოსტიკა, საწყისი მკურნალობისა და მისი შემდგომი დისპოზიციის პრინციპები.

2. მოდულის ამოცანებია:

ა) გულ-ფილტვის რეანიმაციის საჭიროების მქონე პაციენტების სტაბილიზაციის უნარის გამომუშავება;

ბ) გულის არეში ტკივილის მქონე პაციენტების შეფასების უნარ-ჩვევების განვითარება;

გ) გულის დაავადებების მქონე პაციენტების შეფასების, სტაბილიზაციის, მკურნალობის და შესაბამისი დისპოზიციის უნარის განვითარება;

დ) კარდიალური სიმპტომატოლოგიით (ტკივილი გულმკერდის არეში, სუნთქვის შესუსტება, არითმიები) შემოსული პაციენტების დიფერენციული დიაგნოსტიკის უნარის განვითარება;

ე) დიაგნოსტიკური მეთოდების ინტერპრეტაციის უნარის განვითარება (ეპბ, გულმკერდის რენტგენოგრაფია და გულის ულტრასონოგრაფია);

ვ) საგულე ფარმაკოლოგიური საშუალებების გამოყენების შესწავლა;

ზ) გულთან დაკავშირებული პროცედურული უნარ-ჩვევების გამომუშავება: ვენური სისტემის დადგმა და ცენტრალური ვენური წნევის მონიტორინგი, პერიკარდიოლოგიური, დეფიბრილაცია და კარდიოვერსია და ულტრასონოგრაფია;

თ) მწვავე მიოკარდიუმის ინფარქტის მქონე პაციენტების დიაგნოსტიკის, სტაბილიზაციის და თრომბოლიზური მკურნალობის ჩატარების უნარის განვითარება;

ი) ინტერვენციული კარდიოლოგიის პრინციპების შესწავლა.

3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	დაგალება
• გულმკერდის არეში	კარდიალური	გამოკვლევების	(ეპბ, დამოუკიდებელი

<p>ტკივილის მქონე პაციენტის ანამნეზიდან იმ მახასიათებლების ამოკრეფა, რომელიც მიუთითებს კარდიალური ეტიოლოგიის რისკზე</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არადიფერენცირებული გულმკერდის არეში ტკივილის დიაგნოსტირების სირთულეები</li> <li>• მწავე კორონარული სინდრომის პათოფიზიოლოგია</li> <li>• მწვავე კორონარული ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემები</li> <li>• გულის არეში ატიპიური ტკივილის დიფ.დიაგნოსტიკა</li> <li>• მწვავე კორონარული სინდრომის ატიპიური გამოვლინებები</li> <li>• გულის არეში ტკივილის დროს დამატებითი გამოკვლევების (ეგგ, გულმკერდის რენტგენოგრაფია, კარდიალური ფერმენტები, სისხლის არტერიული აირები და სხვ.) მგრძნობელობა სპეციფიკურობა</li> <li>• სტაბილური არასტაბილური სტენოკარდიის დიფერენცირება არასტაბილური ანგინის მქონე პაციენტებისთვის დაწყებითი მკურნალობის შერჩევა, მათ შორის ნიტრატების, ბეტა-</li> </ul>	<p>სიმპტომატოლოგიით შემოსული პაციენტის ანამნეზის შეკრება; ფიზიკალური გამოკვლევა; გამოკვლევების დაგეგმარება და მიღებული შედეგების შეფასება; მკურნალობა; პაციენტის შემდგომი დისპოზიციის განსაზღვრა; განსაზღვრა</p>	<p>გულმკერდის რენტგენოგრაფია, კარდიალური ფერმენტები, სისხლის არტერიული აირები და სხვ.) შედეგების ინტერპრეტაცია - 300</p> <p>კარდიალური პეისინგი - 14 დეფიბრილაცია/კარდიოვერსი ა 30</p> <p>თორაკოსტომია - 15</p>	<p>მუშაობა ლიტერატურასთან პრაქტიკული მუშაობა პაციენტთან, შემთხვევების განხილვა, რეფერაციები, სალექციო მასალის მომზადება</p>
--	--	---	---

<p>ბლოკერების, კალციუმის არხის ბლოკერების და სხვ. გამოყენება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მიოკარდიუმის “ჩუმი” ინფარქტი და იშემია</li> <li>• მწვავე სრული ატრიოვენტრიკულური ბლოკადის მნიშვნელობა ქვედა და წინა მიოკარდიუმის ინფარქტის დროს</li> <li>• ამერიკის გულის ასოციაციის (AHA) რეკომენდაციები მწვავე პარკუჭოვანი ფიბრილაციის, გენტრიკულური ტაქიკარდიის, ასისტოლიის, პულსის შემცირებით მიმდინარე ელექტრული აქტივობის, წინაგულების ციმციმის და ფიბრილაციის, აგზნების წინა მდგომარეობასთან მიმარტებაში;</li> </ul> <p>სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის და ბრადიკარდიის, სინუსის კვანძის სისუსტის, წინაგულოვან პარკუჭოვანი ბლოკადის (პირველი, მეორე, მესამე ხარისხის) და პისის კონის სრული ბლოკადის მკურნალობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კარდიოგენური შოკის კლინიკური გამოვლინებები და მისი მკურნალობა</li> <li>• კარდიოგენური შოკის დიფერენცირება სხვა</li> </ul>		
--	--	--

<p>ეტიოლოგიის შოკისგან</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჰერიკარდიუმის დაავადების კლინიკური გამოვლინებები და მისი საწყისი მკურნალობა და მენეჯმენტი</li> <li>• მიოკარდიუმის ინფარქტის კლინიკური გამოვლინებები და მათი კავშირი პროცესში სისხლძრღვების ჩართულობასთან</li> <li>• მწვავე მიოკარდიუმის ინფარქტის დროს თრომბოლიზური მკურნალობის ჩვენებები, უკუჩვენებები და გართულებები</li> <li>• გულის მწვავე უკმარისობის კლინიკური გამოვლინებები, ეტიოლოგია, პათოფიზიოლოგია, მკურნალობა</li> <li>• გულის სარქვლოვანი ანატომია და გულის სარქვლოვანი დაავადებების ეტიოლოგიური ფაქტორები</li> <li>• მიტრალური სარქვლის პროლაფსის, აორტის სტენოზის, აორტის რეგურგიტაციის, ტრიკუსპიდალური სტენოზის, ტრიკუსპიდალური რეგურგიტაციის და პულმონარული სტენოზის კლინიკური გამოვლინებები და ამ დაზიანებების მართვა</li> <li>• ხელოვნური სარქვლის</li> </ul>		
--	--	--

<p>გართულებები და მათი ურგენტული მენეჯმენტი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომპენსირებული, ჰიპერტოფიული და რესტრიქციური და კარდიომიოპათიების დიფერენციაცია და თითოეული მათგანის მკურნალობა</li> </ul> <p>• მიოკარდიტის განსაზღვრა, მისი ეპბ მახასიათებლები და ურგენტული მართვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მწვავე ფილტვის ემბოლიის პათოფიზიოლოგია და წინასწარგანმაწყობელი ფაქტორები</li> </ul> <p>• ფილტვის ემბოლიის სადიაგნოსტიკო გამოყენებული მრავლობითი ტესტების, მგრძნობელობა და სპეციფიკურობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფილტვის ემბოლიის დიაგნოსტიკის ალგორითმი, რომელიც მოიცავს d-Dimer, პტ ანგიოგრაფიას, ულტრასონოგრაფიას და ვენტილაციურ-პერფუზიულ სკანირებას</li> </ul> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფილტვის ემბოლიის მკურნალობა</li> <li>• ურგენტულ ჰიპერტენზიას, სასწრაფო ჰიპერტენზიას და გაურთულებელ ჰიპერტენზიას შორის დიფერენციაცია</li> <li>• გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში</li> </ul>		
---	--	--

<p>ჰიპერტენზიის მკურნალობის ჩვენებები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჰიპერტენზიული ენცეფალოპათიის სინდრომი</li> <li>• მწვავე გადაუდებელი ჰიპერტენზიული მდგომარეობის მკურნალობა</li> <li>• მწვავე მეზენტერიული იშემიის კლინიკური გამოვლინებების, დიაგნოსტიკისა და გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში მართვის სირთულეები</li> <li>• აორტის მწვავე განშრევების პათოფიზიოლოგია, ეტიოლოგია, ავადობა და სიკვდილობა</li> <li>• აორტის მწვავე განშრევების მართვა გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში</li> <li>• აორტის ანევრიზმის გავრცელებას, გახეთქვასა და განშრევებას შორის დიფერენცირება</li> <li>• მწვავე პერიფერიული იშემიის პათოფიზიოლოგია და კლინიკური გამოვლინებები და მისი მენეჯმენტი გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში</li> <li>• ზედაპირულ და ღრმა ვენების თრომბოზის შორის დიფერენცირება</li> <li>• მწვავე თრომბოფლებიტის მართვა გადაუდებელი დახმარების</li> </ul>		
--	--	--

<p>განყოფილებაში</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თრომბოფლებიტსა და ფილტვის ემბოლიას შორის არსებული პათოფიზიოლოგიური კავშირების განხილვა</li> <li>• მწვავე თრომბოფლებიტის დროს თრომბოლიზის გამოყენება</li> </ul>			
--	--	--	--

4. მოდულის შეფასების მეთოდები (კრიტერიუმები, პერიოდულობა) – მსმენელის შეფასება ზემოთ მოყვანილი ყველა ასპექტის შესაბამისად.

### მუხლი 16. მოდული 3. შინაგანი სნეულებები. ხანგრძლივობა - 3 თვე

1. მოდულის მიზანია – შეასწავლოს მსმენელს შინაგანი სნეულებებით გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში მოხვედრილი პაციენტის დიაგნოსტიკა, საწყისი მკურნალობისა და მისი შემდგომი დისპოზიციის პრინციპები.

2. მოდულის ამოცანებია:

ა) შინაგანი მედიცინის ძირითადი კონცეფციის შეთვისება, ანამნეზის შეგროვების და ფიზიკალური გამოკვლევის უნარ-ჩვევების გამოყენება, რათა შეძლოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში მოხვედრილი პაციენტის სისტემური შეფასება;

ბ) გასტროინტესტინური ტრაქტის დაავადებების პათოფიზიოლოგიის, გამოვლინებების და მართვის შესწავლა;

გ) ძირითადი ჰემატოლოგიური დაავადებების პათოფიზიოლოგიის, გამოვლინებების და მართვის შესწავლა;

დ) იმუნური სისტემის ასპექტების და იმუნური სისტემის დაავადებების შესწავლა;

ე) უხშირესი სისტემური ინფექციური დაავადებების, მათი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესწავლა;

ვ) თირკმლების დაავადებების, მათი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესწავლა;

ზ) ენდოკრინული და მეტაბოლური დაავადებების ეტიოლოგიის, მანიფესტაციისა და მკურნალობის შესწავლა;

თ) სასუნთქი სისტემის დაავადებების, მათი პათოფიზიოლოგიის, შეფასებისა და მკურნალობის შესწავლა.

3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	დაგალება
----------------	----------------------------	--	----------

<ul style="list-style-type: none"> <li>• ანამნეზის მიხედვით გაციენტის დაუყოვნებელი შეფასების და პირველადი სტაბილიზაციის, შემდგომი სრული გამოკვლევების განხორციელება</li> <li>• ანამნეზის შეგროვების და ფიზიკური გამოკვლევების შემდეგ დიფერენციული დიაგნოსტიკის გატარება</li> <li>• საყლაპავის დაზიანების მიზეზები, გამოვლინებები, მართვა</li> <li>• ინფექციური ფალარათის ეტიოლოგიური აგენტები, პათოფიზიოლოგია და მართვა</li> <li>• ნაღვლის და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტების შეფასება, მართვა და სწორი დისპოზიცია</li> <li>• გასტროინტესტინური ტრაქტის ობსტრუქციული დაზიანებების გამოვლინებები, დიაგნოსტიკა და მენეჯმენტი</li> <li>• კუჭ-ნაწლავის სისტემის ანთებითი დაავადებების გამოვლინებები, მოვლა და შესაბამისი მკურნალობა</li> <li>• კუჭ-ნაწლავის სისტემიდან სისხლდენის შეფასება, მკურნალობა და პაციენტის დისპოზიცია</li> <li>• ჰემოგლობინოპათიების სწორი შეფასება და მკურნალობა</li> <li>• სისხლდენის მქონე პაციენტის შეფასების და მკურნალობის შესაბამისი საფეხურები</li> <li>• ანემიის მქონე პაციენტის მოვლა, მკურნალობა და შესაბამისი დისპოზიცია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გადაუდებელი დახმარების განვითარებაში შემოსული პაციენტის ანამნეზის შეკრება; ფიზიკალური გამოკვლევა; გამოკვლევების დაგეგმვარება და მიღებული შედეგების შეფასება; სტაბილიზაცია; მკურნალობა; პაციენტის შემდგომი დისპოზიციის განსაზღვრა; განსაზღვრა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>გასტროინტესტინური ური ტრაქტის ზონდირების პროცედურები, ოროგასტრალური და ნაზოგასტრალური მილის ჩადგმა 300 ულტრასონოგრაფია; Fast</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურასთან ან პრაქტიკული მუშაობა პაციენტთან, შემთხვევების განხილვა, რეფერატები, სალექციო მასალის მომზადება</li> </ul>
---	--	--	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• სისხლის კომპონენტების გადასხმის სწორი გამოყენება, ტრანსფუზიული რეაქციების დიაგნოსტირება და მკურნალობა</li> <li>• იმუნოკომპტომენტირებული მდგომარეობების, მათ შორის აივ ინფექციით გამოწვეული, მექანიზმი და გამოვლინებები</li> <li>• იმუნური სისტემის ჰიპოფუნქციის არა-შიდსისმიერი მიზეზების განხილვა და დიფერენცირება</li> <li>• რევმატოლოგიური და აუტოიმუნური დაავადებების გამოვლინებები, საწყისი მკურნალობა და შესაბამისი დისპოზიცია</li> <li>• ჰიპერგრძნობელობის რეაქციების მქონე პაციენტების (მათ შორის ტრანსპლანტაციის მოცილების) მოვლა და მკურნალობა</li> <li>• უჯრედული და ჰემორული იმუნიტეტის არსი და გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში შემოსული პაციენტების სწორი იმუნიზაცია</li> <li>• ბაქტერიული ინფექციების (გონიორეას, სიფილისის, ტუბერკულოზის და ტეტანუსის), გამოვლინებები, შეფასება და მკურნალობა</li> <li>• ტოქსიური შოკის სინდრომის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები და მკურნალობა</li> <li>• განსხვავებულ ასაკობრივ ჯგუფებში სეფსისის მახასიათებლები</li> <li>• სავარაუდო სეფსისის მქონე პაციენტების საწყის ეტაპზე მკურნალობა</li> </ul>			
--	--	--	--

<ul style="list-style-type: none"> <li>• ვირუსული ინფექციების გამოვლინებები, მკურნალობა, შემდგომი დისპოზიცია და იმუნიზაცია</li> <li>• ყველაზე ხშირი პროტოზოული დაავადებების მიმდინარეობის ხანგრძლივობა, გადამტანის განსაზღვრა და მკურნალობა</li> <li>• თირკმლის დაავადებების მიზეზები, გამოვლინებები, საწყისი მკურნალობა და დისპოზიცია</li> <li>• რენალური სისტემის ინფექციების ძირითადი ეტიოლოგიური ვაქტორები, შესაბამისი მოვლა და დისპოზიცია</li> <li>• თირკმლის უკმარისობის ძირითადი მიზეზები, მეტაბოლური გამოვლინებები, მკურნალობა და დისპოზიცია</li> <li>• დიალიზით მკურნალობის ხშირი გართულებები და გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში მოხვედრილ პაციენტებში მათი მანიფესტაცია</li> <li>• მჟავა-ტუტოვანი დარღვევების ეტიოლოგია, და ამ დარღვევების მქონე პაციენტების შეფასება და მკურნალობა</li> <li>• სითხისა და ელექტოლიტების ანომალიების ეტიოლოგია, მანიფესტაცია და მკურნალობა</li> <li>• გლუკოზის მეტაბოლიზმის დარღვევების გამოვლინებები და ასეთი პაციენტების მოვლა, მკურნალობა და დისპოზიცია</li> <li>• ხშირი ენდოკრინული</li> </ul>		
--	--	--

<p>პათოლოგიების გამოვლინების საწყის ეტაპზე შეფასება, მართვა და დისპოზიცია</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მძიმე მაღნუტრიციის დარღვევების მქონე პაციენტების მწვავე ეტაპზე მკურნალობა</li> <li>• სასუნთქი სისტემის ინფექციების გამომწვევი აგენტები, გამოვლინები, პაციენტების შეფასება და შემდგომი დისპოზიცია</li> <li>• სასუნთქი გზების მწვავე და ქრონიკული დაავადებების ეტიოლოგია, მანიფესტაცია და მკურნალობა</li> <li>• პულმონური ემბოლიის რისკ- ფაქტორის გამოვლინება და შესაბამისი მკურნალობა</li> <li>• გულ-ჰერდის მოცულობითი პროცესების გამოვლინება, მოვლა, მკურნალობა და შესაბამისი დისპოზიცია</li> <li>• ქრონიკული გრანულომატოზის გამოვლინება, მოვლა, მკურნალობა, და პაციენტთა შემდგომი დისპოზიცია</li> <li>• პულმონური ჰიპერტენზიის გამოვლინება, პაციენტთა მოვლა, მკურნალობა და მათი შემდგომი დისპოზიცია</li> <li>• ლიმფური სისტემის პათოლოგიის მქონე პაციენტების შესაბამისი შეფასება</li> <li>• სისხლმბადი სისტემის ავთვისებიანი პათოლოგიების გამოვლინება, მკურნალობა და მათი შემდგომი დისპოზიცია</li> <li>• ზრდასრულებული დისტრესის</li> </ul>			
---	--	--	--

სინდრომი და მულტიორგანული უკმარისობის ეტიოლოგია, დიაგნოსტიკება და მკურნალობა			
--	--	--	--

4. მოდულის შეფასების მეთოდები (კრიტერიუმები, პერიოდულობა) – მსმენელის შეფასება ზემოთ მოყვანილი ყველა ასპექტის შესაბამისად.

### **მუხლი 17. მოდული 4. პედიატრია. ხანგრძლივობა - 1.5 თვე**

#### 1. მოდულის მიზანია:

ა) გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში მოხვედრილი ახალშობილების და ბავშვების მწვავე და ქრონიკული დაავადებების დიაგნოსტიკისა და ურგენტული მართვის შესწავლა;

ბ) გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში გინეკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და ურგენტული მკურნალობის, პაციენტის შემდგომი დისპოზიციის შესწავლა;

გ) ორსულობის გადაუდებელი გართულებების დიაგნოსტიკებისა და მართვის უნარის გამომუშავება.

#### 2. მოდულის ამოცანებია:

ა) ახალშობილთა/ბავშვთა რეანიმაციის უნარ/ჩვევების გამომუშავება;

ბ) შესაბამისი პედიატრიული ანამნეზის შეგროვებისა და ფიზიკალური გამოკვლევების განხორციელების უნარის გამომუშავება;

გ) ბავშვებში ცხელებისა და ინფექციების ეტიოლოგიის, მნიშვნელობისა და მკურნალობის შესწავლა;

დ) ბავშვებში მუცლის ღრუს დაავადებებთან დაკავშირებული გართულებების, გამოვლინებებისა და მნიშვნელობის შესწავლა;

ე) ბავშვებში ნეკროლოგიური გადაუდებელი მდგომარეობების ეტიოლოგიისა და მკურნალობის შესწავლა;

ვ) ბავშვებში სითხისა და ელექტროლიტების ბალანსის ფიზიოლოგიისა და მისი დარღვევის მართვის შესწავლა;

ზ) ბავშვთა ტრამვული დაზიანების სპეციფიკის შესწავლა;

თ) პედიატრიული კარდიოლოგიური გადაუდებელი მდგომარეობების გამოვლინებებისა და მკურნალობის შესწავლა;

ი) ბავშვებში რესპირაციული სისტემის დაავადებების პათოფიზიოლოგიის, ეტიოლოგიისა და მკურნალობის შესწავლა;

კ) ბავშვებში ხშირი გადაუდებელი/სასწრაფო ჟნდოკრინული და ჰემატოლოგიური დაავადებების პათოფიზიოლოგიის, ეტიოლოგიისა და მკურნალობის შესწავლა;

ლ) ბავშვებში ხშირი გადაუდებელი/სასწრაფო გინეკოლოგიური და უროლოგიური მდგომარეობების პათოფიზიოლოგიის, ეტიოლოგიისა და მკურნალობის შესწავლა;

მ) ბავშვებში ორთოპედიული და რბილი ქსოვილების დაზიანების დიაგნოსტიკებისა და სწორი მკურნალობის შესწავლა;

- 6) ბავშვებში ხშირი დერმატოლოგიური დაავადებებისა და სისტემური დაავადებების დერმატოლოგიური გამოვლინებების შესწავლა;
- 7) ბავშვებში თავისა და კისრის ხშირი და/ან მძიმე დაზიანებების დიაგნოსტირებისა და მკურნალობის შესწავლა;
- 8) კონტრაცეფციის პრინციპების შესწავლა;
- 9) ორსულობის გადაუდებელი გართულებების დიაგნოსტირებისა და მართვის უნარის გამომუშავება;
- 10) ადრეული მშობიარობის მართვის უნარ/ჩვევების გამომუშავება;
- 11) გინეკოლოგიური და სამეცნო ტრამვის მართვის პრინციპების შესწავლა;
- 12) გენიტალური და მენჯის ღრუს ინფექციური დაავადებების დიაგნოსტირებისა და მართვის შესწავლა;
- 13) ქალებში მუცლის ტკივილის დიაგნოსტირებისა და მართვის უნარის გამომუშავება;
- 14) ვაგინალური სისხლდენის დიაგნოსტირებისა და მართვის უნარის გამომუშავება.
3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	დაგალება
<b>პედიატრია</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასუნთქი გზების მართვა</li> <li>• გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტების შესაბამისი დოზირება</li> <li>• სხვადასხვა ასაკის ბავშვებში ცხელების მნიშვნელობა</li> <li>• ბავშვობის ასაკის ხშირი ინფექციური დაავადებები, მათ შორის მენინგიტის, სეფსისის, პნევმონიის, საშარლე სისტემის ინფექციების და ბაქტერიემიის შესაბამისი შეფასება და მკურნალობა</li> <li>• ბავშვებში გასტროინტესტინური ტრაქტის და მუცლის ღრუს ხშირი და/ან მძიმე დაავადებების, მათ შორის გასტროენტერიტების, მეკალის დიგენტიკულის, ანაფილაქტოიდური პურპურის და აკენდიციის, პათოფიზიოლოგია</li> </ul>	პედიატრიული პაციენტის ანამნეზის შეკრება; ფიზიკალური გამოკვლევა; გამოკვლევების დაგეგმვა და მიღებული შედეგების შეფასება; საწყისი მკურნალობა; პაციენტის შემდგომი დისპოზიციის განხილვა, რეფერაცია, სალექციო მასალის მომზადება;	ბავშთა/ახალშობილთა ენდოტრაქტული ინტენცია - 30 0/3 მანიპულაციები (მათ შორის ვენოპუნქტურა, ძვალში ინექცია) - 30	დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურასთან ას პრაქტიკული მუშაობა პაციენტთან, შემთხვევების განხილვა, რეფერაცია, სალექციო მასალის მომზადება;

<p><b>და გამოვლინებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პედიატრიულ პაციენტებში მუცლის არეში მოცულობითი წარმონაქმნების დიფერენცირება და წინასწარი შეფასება</li> <li>• ბავშვებში ფებრილური და აფებრილური კრუნჩევების სწორი მართვა</li> <li>• რეიეს სინდრომი</li> <li>• ჰიდროცეფალია, მისი დიფერენციული დიაგნოსტიკა, ნევროლოგიური შუნგის პრობლემების მკურნალობა და მართვა</li> <li>• ბავშვებში დეპიდრაციის დროს სითხისა და ელექტროლიტების საჭირო რაოდენობის გამოთვლა</li> <li>• ბავშვებთან ცუდი დამოკიდებულების და/ან მათი უარყოფის/მიტოვების სავარაუდო შემთხვევების მართვა</li> <li>• ბავშვებში ტრამვის დროს რეანიმაცია</li> <li>• ბავშვებში სხვადასხვა ხარისხის დამწვრობა და მისი მკურნალობა</li> <li>• ბავშვებში ხშირი დისრიომიები, მათი დიაგნოსტიკა და მკურნალობა</li> <li>• ციანოზური და არაციანოზური გულის დაავადებების ტიპები, მათი გართულებები და მკურნალობა</li> <li>• ბავშვთა გულმკერდის რენტგენოგრამის ინტერპრეტაცია</li> <li>• იმ პაციენტების განსაზღვრა, რომელთაც რეგმატიული ცხელების ან ქვემწვევე ბაქტერიული ენდოკარდიტის გამო ესაჭიროებათ პროფილაქტიკა</li> <li>• ბავშვებში შეგუბებითი უკმარისობის დეფერენცირება და</li> </ul>	<p><b>პედიატრიული მოტეხილობების რენტგენოგრამის ინტერპრეტაცია და არტაშანის დადგება</b></p> <p><b>სახსარში ამოვარდნილობების ჩასმა</b></p> <p><b>რბილი ქსოვილის ინფილტრატების გახსნა და დრენირება - 10</b></p>
--	---

<p><b>შესაბამისი მკურნალობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბავშვებში სასუნთქი სისტემის ანატომია და ფიზიოლოგია</li> <li>• პიკური ნაკადის განსაზღვრა, პულს ოქსიმეტრის და ამოსუნთქვის ბოლოში <math>\text{CO}_2</math>-ს განსაზღვრა</li> <li>• ზედა სასუნთქი გზების ინფექციებისას სავარაუდო ეპიგლოტიტის მართვა</li> <li>• ლატერალური კისრის რბილი ქსოვილების რენტგენოგრამის სწორი ინტერპრეტაცია</li> <li>• ქვედა და ზედა სასუნთქი სისტემის დაავადებების, მათ შორის ასთმა, ბრონქიოლიტი, მუკოვისციდოზი, პნევმონია ეტიოლოგია და მართვა</li> <li>• ზედა სასუნთქ გზებში უცხო სხეულების სწორი დიაგნოსტიკა და მენეჯმენტი და ქვედა სასუნთქი გზების უცხო სხეულების მქონე პაციენტების დისპოზიცია</li> <li>• ბავშვებში ანემიის ეტიოლოგია</li> <li>• ბავშვებში სისხლდენების დიფერენციული დიაგნოსტიკა და შეფასება</li> <li>• ტესტიკულური დაავადებების, მათ შორის შემოგრეხის და ეპიდიდიმიტის შეფასება და მკურნალობა</li> <li>• სხვადასხვა ლოკალიზაციის პედიატრიული მოტეხილობების რენტგენოგრამის ინტერპრეტაცია და არტაშანის დადების ტექნიკა</li> <li>• რბილი ქსოვილის ინფექციების ეტიოლოგია და მკურნალობა და მათი გახსნისა და დრენირების უნარი</li> <li>• ბავშვებში ეგზანთემების სწორი</li> </ul>			
--	--	--	--

<p>დიაგნოსტირება, მათ შორის წითელა, წითურა, ჩუტყვავილა, პიტირიაზი, ინფექციური ერითემა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ყურების, ცხვირისა და ყელის გამოკვლევების ჩატარება და ინტერპრეტაცია</li> <li>• ბავშვებში სახის და თვალის ინფექციები და მათი საწყისი მკურნალობა</li> <li>• ნეონატალური შოკის მიზეზები და ახალშობილთა რეანიმაციის, ასევე ენდოტრაქეული ინტუბაციის ჩატარების უნარის დემონსტრირება</li> <li>• ახალშობილთა უეცარი სიკვდილის სინდრომის ნიშნები და დიფერენცირება, ოჯახის მხარდაჭერა</li> <li>• სუსტი ახალშობილებისა და ბავშვების (პოლიომიელიტი, ბორტულიზმი, Landry-Guillain-Barre-ს სინდრომი) დიფერენციული დიაგნოსტიკა და მკურნალობა</li> <li>• ბავშვებში ხშირი მოწამვლები და მათი მკურნალობა</li> <li>• ჩაძირული/დამხრჩვალი ბავშვის მართვა</li> <li>• ბავშვებში უცხო სხეულების გადაყდაპვის დროს მართვა, გართულებები, დიაგნოსტიკის საფეხურები და მკურნალობა</li> <li>• ბავშვებში კუჭ-ნაწლავის ზედა და ქვედა ტრაქტიდან სისხლდენების დიფერენციული დიაგნოსტიკა, შეფასება და მკურნალობა</li> <li>• ბავშვებში რენალური უკმარისობის ან ანურიის დიფერენციული დიაგნოსტიკა და შეფასება</li> <li>• სინკოპეს მქონე ბავშვების შეფასება და მისი დიფერენციული</li> </ul>		
--	--	--

<p><b>დიაგნოზი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კავაზაკის დაავადების ნიშნები, სიმპტომები, მკურნალობა და გართულებები</li> <li>• ბავშვებში აბდომინური და ვაგინალური სისხლდენის დიფერენციული დიაგნოზი</li> <li>• შეცვლილი მენტალური სტატუსის მქონე ბავშვის შეფასება და მკურნალობა და თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფიის ინტერპრეტაცია</li> <li>• საზარდულის თიაქრის მკურნალობის ტექნიკა</li> <li>• გარდამავალი სინოვიტების და სეპტიკური სახსრის გამოვლინებებსა და დიაგნოსტიკური ტესტების შედეგებს შორის დიფერენცირება და მკურნალობა</li> <li>•</li> </ul>			
---	--	--	--

4. მოდულის შეფასების მეთოდები (კრიტერიუმები, პერიოდულობა) –  
მსმენელის შეფასება ზემოთ მოყვანილი ყველა ასპექტის შესაბამისად.

### მუხლი 18. მოდული 5 - მეანობა/გინეკოლოგია, ხანგრძლივობა – 1 თვე

#### 1. მოდულის მიზანია:

- ა) გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში გინეკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და ურგენტული მკურნალობის, პაციენტის შემდგომი დისპოზიციის შესწავლა;
- ბ) ორსულობის გადაუდებელი გართულებების დიაგნოსტირებისა და მართვის უნარის გამომუშავება.

#### 2. მოდულის ამოცანებია:

- ა) ორსულობის გადაუდებელი გართულებების დიაგნოსტირებისა და მართვის უნარის გამომუშავება;
- ბ) ადრეული მშობიარობის მართვის უნარ/ჩვევების გამომუშავება;
- გ) გინეკოლოგიური და სამეანო ტრამვის მართვის პრინციპების შესწავლა;
- დ) გენიტალური და მენჯის ღრუს ინფექციური დაავადებების დიაგნოსტირებისა და მართვის შესწავლა;
- ე) ქალებში მუცელის ტკივილის დიაგნოსტირებისა და მართვის უნარის გამომუშავება;

ვ) ვაგინალური სისხლდენის დიაგნოსტირებისა და მართვის უნარის გამომუშავება.

3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	დაგალება
• ვაგინალური დიფერენციული დიაგნოზი, პაციენტის შეფასება და მკურნალობა	პაციენტის გამონადენის დიაგნოზი, პაციენტის შეფასება და მკურნალობა	პაციენტის ანამნეზის შეკრება; ფიზიკალური გამოკვლევა; გამოკვლევა; გამოკვლევების დაგეგმვარება და მიღებული შედეგების შეფასება; საწყისი მკურნალობა; პაციენტის შემდგომი დისპოზიციის განსაზღვრა; შესაბამისი რჩევა-დარიგებების განსაზღვრა	სრული გინეკოლოგიური გამოკვლევის ჩატარება - 10 პერინატალური და ნეონატალური რეანიმაცია - 20 პრაქტიკული მუშაობა პაციენტთან, შემთხვევების განხილვა, რეფერატები, სალექციო მასალის მომზადება;
• მენჯის ღრუს მიდამოში ტკივილის დიფერენციული დიაგნოზი, პაციენტის შეფასება და მკურნალობა	მენჯის ღრუს მიდამოში ტკივილის დიაგნოზი, პაციენტის შეფასება და მკურნალობა	პაციენტის გამოკვლევების დაგეგმვარება და მიღებული შედეგების შეფასება; საწყისი მკურნალობა; პაციენტის შემდგომი დისპოზიციის განსაზღვრა; შესაბამისი რჩევა-დარიგებების განსაზღვრა	პრაქტიკული მუშაობა პაციენტთან, შემთხვევების განხილვა, რეფერატები, სალექციო მასალის მომზადება;
• ორსულ და არაორსულ ქალებში ვაგინალური სისხლდენის დიფერენციული დიაგნოზი, პაციენტის შეფასება და მკურნალობა	ორსულ და არაორსულ ქალებში ვაგინალური სისხლდენის დიფერენციული დიაგნოზი, პაციენტის შეფასება და მკურნალობა	პაციენტის გამონადენის დიაგნოზი, პაციენტის შეფასება; საშარდე სისტემის ინფექციების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, ტუბო-ოფარული აბსცესების და ვაგინიტების შეფასება და მკურნალობა	პერინატალური და ნეონატალური რეანიმაცია - 20 ექტოპიური ორსულობის მართვა - 20
• დისმენორეა			
• გენიტოურინალური ინფექციების, მათ შორის მენჯის ღრუს ანთებითი დაავადებების, საშარდე სისტემის ინფექციების, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, ტუბო-ოფარული აბსცესების და ვაგინიტების შეფასება და მკურნალობა		გაურთულებული დროული მშობიარობის მიღება	
• ტოქსიური შოკის სინდრომისთვის დამახასიათებელი სიმპტომები და მისი დიფდიაგნოზი			გართულებული მშობიარობის მართვა
• პერინატალური და ნეონატალური რეანიმაცია			
• სავარაუდო ექტოპიური ორსულობის შეფასება და მართვა			
• პლაცენტის წინამდებარეობის ნიშნები, სიმპტომები და მკურნალობა			
• პრეეკლამპსიისა და ეკლამპსიის ნიშნები, სიმპტომები და			

<p><b>მკურნალობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პლაცენტის ჩამოფრცების ნიშნები, სიმპტომები და მკურნალობა</li> <li>• მშობიარობის ნორმალური მიმდინარეობის საფეხურები და თითოეული საფეხურის მიმდინარეობის დრო</li> <li>• APGAR -ის ქულების განსაზღვრის უნარის დემონსტრირება სხვადასხვა მაჩვენებლების მნიშვნელობების განხილვა</li> <li>• საკვერცხის შემოგრეხვის პათოფიზიოლოგია, დიფდიაგნოსტიკა, ნიშნები, სიმპტომები და მკურნალობა</li> <li>• ორსულობის დროს ტრამვის მართვა</li> <li>• საკეისრო კვეთის ჩვენებები და მისი განხორციელების ტექნიკა</li> <li>• ორსულებში ხშირი დებინების მართვა</li> <li>• გაურთულებელი დროული მშობიარობის მიღება</li> <li>• გართულებული მშობიარობების დიაგნოსტირება და მკურნალობა</li> <li>• გართულებული მშობიარობის მართვა</li> <li>• პოსტპარტუმ გართულებების, როგორიცაა ენდომეტრიტი, მასტიტი და ა.შ. დიაგნოსტირება და საწყისი მართვა</li> <li>• რეზუს-შეუთაგსებლობა</li> <li>• ბუშნამქერის მქონე პაციენტის მართვა</li> <li>• აბორტის კლასიფიკაციის სქემები</li> </ul>			
--	--	--	--

**მუხლი 19. მოდული 6. ორთოპედია. ხანგრძლივობა – 2 თვე**

1. მოდულის მიზანია - შეასწავლოს მსმენელს ორთოპედიული დახმარების ჩვენებები და ტექნიკა, ორთოპედიული დაავადებების სკრინინგი და მართვა.

2. მოდულის ამოცანებია:

ა) ანამნეზის შეკრებისა და ფიზიკალური გამოკვლევების უნარის განვითარება;

ბ) ორთოპედიული დაზიანებების შეფასებისათვის საჭირო ვიზუალიზაციის დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენების შესწავლა;

გ) ძვალ-კუნთოვანი სისტემის ტრაგმის შეფასებისა და მართვის უნარის გამომუშავება;

დ) ძვალ-კუნთოვანი სისტემის ანთებითი და ინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკურისა და მკურნალობის შესწავლა;

ე) კუნთოვან-ძვლოვანი დაზიანებისას მწვავე და ქრონიკული ტკივილის მართვის პრინციპების შესწავლა.

3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესახრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	დავალება
• ორთოპედიული პაციენტების რადიოლოგიური გამოკვლევების დაგეგმვა და ინტერპრეტაცია	კუნთოვან-ძვლოვანი დაზიანების მქონე პაციენტების შეკრება; ფიზიკალური გამოკვლევების დაგეგმარება და მიღებული შედეგების შეფასება;	კომპრესიული ნახვევის დადება - 25	დამოუკიდებელი მუშაობა ლიტერატურასთან
• ორთოპედიული დაზიანების შემდგომი მეთვალყურეობა	ფიზიკალური გამოკვლევების დაგეგმარება და მიღებული შედეგების შეფასება;	არტაშანის დადება - 20	პრაქტიკული მუშაობა
• პედიატრიული და მოზრდილთა ძვლოვანი ანატომიის განსხვავებები და რადიოლოგიურ გამოკვლევებზე ამ განსხვავებების ასახვის დიფერენცირება	მოტეხილობის/ამოგარდნილობის იმობილიზაცია და ჩასმა - 20	პაციენტთან, შემთხვევების განხილვა, რეფერატები, სალექციო მასალის მომზადება;	
• ორთოპედიული პროცედურების და მოწყობილობების, მათ შორის კომპრესიული ნახვევის, არტაშანის დადების და იმობილიზაციის გამოყენება	ართორცენტრი - 15	ადგილობრივი ანესტეზიის განხორციელება - 20	
• მრავლობითი ტრამგის მქონე პაციენტში ორთოპედიული დაზიანებების პრიორიტეტების განსაზღვრა და მართვა	განსაზღვრა; შესაბამისი რჩევა-დარიგებების განსაზღვრა	რბილი ქსოვილების უცხო სხეულის აღმოჩენა და მოცილება	
• ანთებითი და ინფექციური დაავადებების გამოვლინებები და მათი დიაგნოსტიკური მკურნალობა	განსაზღვრა		
• რბილი ქსოვილის უცხო სხეულების დიაგნოსტიკური და			

<p><b>მკურნალობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადამიანისა და ცხოველის ნაკბენის გამოვლინებები, გართულებები, დიაგნოსტირება, მართვა და პროგნოზირება</li> <li>• კომპარტმენტ-სინდრომის გამოვლინება, გართულება, დიაგნოსტირება და მართვა</li> <li>• მწვავე ორთოპედიული ტრამვის დროს საჭირო სტანდარტული ანალგეტიკური და სედაციური მედიკამენტების დოზირება, ჩვენებები, უკუჩვენებები და გვერდითი მოვლენები და მათი გამოყენება</li> <li>• კუნთოვან-ძვლოვანი დაზიანებების დროს ანალგეტიკების დოზირება, ჩვენებები, უკუჩვენებები, გვერდითი მოვლენები და პოტენციალი</li> <li>• ზურგის ქვედა ნაწილის ტკივილის დიფერენციული დიაგნოზი, ანამნეზის შეკრება, ფიზიკალური და ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაცია</li> <li>• რბილი ქსოვილის ინფექციისას პროცესის კუნთვებზე, ფასციასა და მყესებზე გავრცობის დიაგნოსტირება და მკურნალობა</li> <li>• “გაცვეთის” სინდრომის დიაგნოსტირება და მკურნალობა</li> <li>• სახსრების დაზიანები, მათი შეფასება, მკურნალობა და პროგნოზი</li> <li>• რბილი ქსოვილის დაზიანების, (როგორიცაა დაჭიმვა, პენეტრირებული დაზიანება, დარტყმითი დაზიანება და მაღალი წნევით გადმოგდების დროს დაზიანებები), შეფასება და მკურნალობა</li> </ul>		
--	--	--

4. მოდულის შეფასების მეთოდები (კრიტერიუმები, პერიოდულობა) – მსმენელის შეფასება ზემოთ მოყვანილი ყველა ასპექტის შესაბამისად.

**მუხლი 20. მოდული 7. ოფთალმოლოგია, ოტოლარინგოლოგია, დერმატოლოგია,  
 ზოგადი ქირურგიის საფუძვლები, უროლოგია. ხანგრძლივობა - 2 თვე**

1. მოდულის მიზანია - შეასწავლოს მსმენელს ოფთალმოლოგიური, ოტოლარინგოლოგიური, დერმატოლოგიური დაავადებების ამოცნობა, ურგენტულ სიტუაციებში მართვის და მკურნალობის პრინციპები და რეფერალის განხორციელების ჩვენებები; გააცნოს რეზიდენტს/საექიმო სპეციალობის მაძიებელს ზოგადი ქირურგიისა და უროლოგიის საფუძვლები.

2. მოდულის ამოცანებია:

- ა) ანამნეზის შეკრებისა და ფიზიკალური გამოკვლევების უნარის განვითარება;
- ბ) მხედველობის დაკარგვის გადაუდებელი მიზეზების დიაგნოსტირება და მკურნალობის შესწავლა;
- გ) თვალის ტრამვის მართვის პრინციპების შესწავლა;
- დ) ხშირი ოფთალმოლოგიური გართულებების შეფასებისა და მართვის შესწავლა;

- ე) თავისა და კისრის ხშირი დაზიანებების შეფასებისა და მართვის შესწავლა;
- ვ) სახის ტრამვის შეფასებისა და მართვის შესწავლა;
- ზ) ზედა სასუნთქი გზების დაზიანებების შეფასებისა და მართვის შესწავლა;
- თ) თავისა და კისრის დაზიანებების შეფასებისათვის საჭირო ვიზუალიზაციის დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენების შესწავლა;

- ი) კანისა და ლორწოვანი გარსების დაავადებების დიაგნოსტიკისა და შესაბამისი მკურნალობის უნარ/ჩვევების გამომუშავება;

- კ) ყველაზე ხშირი ზოგადი ქირურგიული პათოლოგიების შესახებ ცოდნის გაღრმავება;

- ლ) ანამნეზის შეკრების და ფიზიკალური გამოკვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავება;

- მ) ზოგად ქირურგიასთან დაკავშირებული პროცედურული უნარ-ჩვევების გამომუშავება;

- ნ) ზოგადი ქირურგიული პათოლოგიის მქონე პაციენტების დეტალური შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავება;

- ო) მწვავე აბდომინალური ტკივილის მქონე პაციენტებში ქირურგის კონსულტაციის და ქირურგიული ჩარევის ჩვენებების შესწავლა;

- პ) პერიოპერაციული პაციენტების მოვლის პრინციპების შესწავლა;

- ჟ) უროლოგიური პაციენტის შესაფასებლად ვიზუალიზაციის მეთოდების გამოყენების ჩვენებების შესწავლა;

- რ) მწვავე და ქრონიკული თირკმლების უკმარისობის მქონე პაციენტის დიაგნოსტიკის, მენეჯმენტის და დიალიზის გართულებების შესწავლა;

- ს) საშარდე სისტემის ინფექციების დიაგნოსტიკისა და მენეჯმენტის შესწავლა;

- ტ) თირკმლის კენჭების დიაგნოსტიკისა და მენეჯმენტის შესწავლა;

- უ) რენალური და გენიტალურ-ურინალური ტრამვების შეფასებისა და მართვის შესწავლა;

ფ) მამაკაცთა სასქესო ორგანოების დაგადებების დიაგნოსტიკისა და მენეჯმენტის შესწავლა.

3. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა:

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შესასრულებელი მანიპულაციის რაოდენობა	დაგალება
<p><b>ოფთალმოლოგია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თვალის ნორმალური ანატომია</li> <li>• თვალის ფსკერის გამოკვლევით დაზიანებების აღმოჩენა და დიფერენცირება</li> <li>• ადგილობრივი და სისტემური მოქმედების ოფთალმოლოგიური მედიკამენტების დოზირება, ჩვენებები და უკუგვენებები</li> <li>• მხედველობის მწვავედ დაკარგების დიფერენციული დიაგნოსტიკა</li> <li>• თვალის ტკივილის დიფდიაგნოზი და მართვა</li> <li>• წითელი თვალის დიფდიაგნოზი და ამ დროს პაციენტის შეფასება</li> <li>• თვალის ქიმიური დაზიანების შეფასება და მართვა</li> <li>• თვალისა და მისი მიმდებარებილი ქსოვილების ბლაბვი და პენეტრირებული ტრავმის შეფასება და მართვა</li> <li>• თვალში უცხო სხეულების შეფასება და მართვა</li> <li>• მწვავე კუთხოვანი გლაუკომის ნიშნები, სიმპტომები და მართვა</li> <li>• ორბიტული და პერიორბიტული ცელულიტის ნიშნები, სიმპტომები და მართვა</li> <li>• თვალის ფლუორესცინით გამოკვლევისას სხვადასხვა სახეობების აღწერა და იდენტიფიცირება</li> </ul>	<p>ანამნეზის შეკრება; თვალის გამოკვლევა; გამოკვლევების დაგეგმარება და მიღებული შედეგების შეფასება; მკურნალობა; პაციენტის შემდგომი დისპოზიციის განსაზღვრა; შესაბამისი რჩევა- დარიგებების განსაზღვრა</p>	<p>თვალშიგა წნევის გაზომვა თვალიდან უცხო სხეულების ამოდება</p>	<p>დამოუკიდებე ლი მუშაობა ლიტერატურას თან</p> <p>პრაქტიკული მუშაობა პაციენტთან, შემთხვევების განხილვა, რეფერატები, სალექციო მასალის მომზადება</p>

